ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

!% 2 !^ vfhnb7 @)!$

162 (6373)

afcb5 #) stshb

## 11 მარტიდან!
## 3ფ[ფქბ სფჯ,ფ4 +
## სამარხვო კერძები
@ კფჰბ ლფ ^) სტსჰბ






# შალვა ხაჭაპურიძე: თანამდებობიდან წასული კოტე კუბლაშვილი უკან დავით უსუფაშვილმა დააბრუნა“

გვ.3



## სოსო მანჯავიძე: რუსეთმა შესაძლოა სამცხე-ჯავახეთში არეულობა მოგვიწყოს“



გვ.2



## ოლეგ იაძეს ქართულ ოცნებაში“ არ შემოვუშვებთ“



დები მამასახლისები კასპის ყოფილ გამგებელს აფრთხილებენ

გვ.4

## ვინ დატოვა აგვისტოს ომის დროს საქართველო

ირაკლი სესიაშვილმა სია გამოაქვეყნა



გვ.4

## ნიკოლოზ მჟავანაძე: უგულავას ბიუჯეტიდან მოპარული ფული უკან უნდა მოვატანინოთ“



გვ.6

## თეა წულუკიანი: ქალთა უფლებებს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება“

გვ.2



ISSN 1987-9385

პარლამენტის თბილისში გადმოტანა პოლიტიკურ ცხოვრებას გააიოლებს



გვ.5

## სატელეფონო მოსმენები ისევ გრძელდება?!



გვ.5

## დააკავებენ თუ არა როლანდ ახალაიას

# სოსო მანჯავიძე: რუსეთმა შესაძლოა სამცხე-ჯავახეთში არეულობა მოგვიწყოს“

მარიკა მჭედლიშვილი

## ინტერვიუ საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ გენერალურ მდივან სოსო მანჯავიძესთან

***— ბოლო დროს ბევრ საუბრობენ იმაზე, რომ სექტემბერში ნატოს სამიტზე საქართველომ შეიძლება გაწევრიანების სამოქმედო გეგმა მიიღოს. რამდენად შესაძლებელია ეს დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის პირობებში?***

— ან ნატოს წესდება უნდა დაირღვეს, ან ეს უნდა მოხდეს საქართველოს მთლიანობის დარღვევის ხარჯზე. ამაზე ჩვენს პარტიას არაერთგზის უსაუბრია. ალბათ, იმ უპრეცედენტო გამოკითხვის შესახებაც გსმენიათ, რომელსაც ახლა ვატარებთ. ესაა „სახალხო რეფერენდუმი“. ერთი კითხვა სწორედ ნატოში საქართველოს გაწევრიანებას ეხება. გამოკითხვის მონაწილემ უნდა უპასუხოს, უპირობოდ უჭერს მხარს ნატოში ან სხვა ორგანიზაციაში შესვლას თუ ტერიტორიული მთლიანობის პირობით. ალვწეროთ, რა მოხდება, თუ ჩვენ სამოქმედო გეგმას მივიღებთ. ან ნატომ უარი უნდა თქვას თავის წესდებაზე, ან ჩვენ უნდა ვთქვათ უარი ჩვენს ტერიტორიებზე. ისიც უნდა გვისმოდეს, რომ ნატოში ჩვენი შემდგომი ინტეგრაცია აუცილებლად იქნება დაკავშირებული რუსეთის კონტრმოქმედებებთან.

***— რა კონტრმოქმედებებს მიმართავს რუსეთი?***

— ეს იქნება რეფერენდუმები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, პრობლემები სამცხე-ჯავახეთში. სომხეთისა და რუსეთის პარტნიორობის ამბავი მოგეხსენებათ. სომხეთი, ფაქტიურად, შესულია რუსეთ-ბელარუს-ყაზახეთის საბაჟო კავშირში და ევრაზიულ კავშირშიც მოიაზრება. ამას მოჰყვება პრობლემების შექმნა აჭარასა და ქვემო ქართლში. სამცხე-ჯავახეთში მოსალოდნელია ავტონომიის მოთხოვნა რუსეთისა და სომხეთის წაქეზებით. თუ სამცხე-ჯავახეთში დადგა ეს პრობლემა, ქვემო ქართლში არსებული სეპარატისტულ ძალებსაც გაუჩნდებათ მსგავსი მოთხოვნის მოტივაცია. ვითარებას ართულებს სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიული სიახლოვე. ჩვენი სახელმწიფო არაფერს თუ ვერაფერს აკეთებს დისბალანსის დასაძლევად.

***— რომელ დისბალანსს გულისხმობთ?***

— დემოგრაფიულ დისბალანსს ამ კუთხეებში. დემოგრაფიული ბალანსის აღდგენა შესაძლებელია ყოველგვარი აგრესიული მოქმედებების გარეშე. აუცილებელია ასევე ამ მოსახლეობის ქართულ სახელმწიფოში ინტეგრაცია. ამ რეგიონების მცხოვრებლებმა თავი უნდა იგრძნონ საქართველოს სრულფასოვან მოქალაქეებად. ეს უფრო მომავლის საქმეა.

***— ახლანდელი დღის წესრიგში საფრთხეებია?***

— საფრთხეებზე ჩვენ ადრეც გვისაუბრია. ადრეც ვთქვით, რომ მიმდინარეობს სერიოზული გეოპოლიტიკური ბრძოლა არა მარტო კავკასიაში და კერძოდ, საქართველოში, არამედ, სხვაგანაც. უკრაინასთან დაკავშირებით ჩვენი პროგნოზი გამართლდა. მოვლენებს თუ დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ საქმე გქავს გეოპოლიტიკურ გადანაწილებასთან როგორც უკრაინაში, ასევე საქართველოში.

***— აფხაზეთს და მისი დამოუკიდებლობის აღიარებასაც ხომ არ ეხება ეს გადანაწილება? გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთი გაეროდან დახმარებას (სოციალური პროექტებისთვის) პირდაპირი ხაზით, დამოუკიდებლად მიიღებს...***

— აფხაზეთში რეფერენდუმი ამ ეტაპზე მოსალოდნელი არ არის, თუმცა, ყველაფერი რეფერენდუმის ჩატარებისკენ მიდის. ცხინვალშიც იგეგმება რეფერენდუმის მოწყობა. აფხაზეთს გამოცხადებული აქვს დამოუკიდებლობა, თუმცა, 2018 წლის არჩევნებისთვის



აფხაზეთში ეთნიკური ბალანსი შეიცვლება და გამოიხატება პოლიტიკურ დონეზე.

***— რამდენადაც ვიცი, აფხაზეთში იზრდება სომხური მოსახლეობის წილი. ანუ სომხური მოსახლეობის სიმრავლე შექმნის ნიადაგს რეფერენდუმისთვის?***

— დიახ. აფხაზების პოლიტიკური გავლენა თავისთავად შემცირდება. რუსული დაზვერვა, მის მიერ ინსპირირებული აფხაზების ნაწილი ცდილობენ ქართველების პოლიტიკური როლის დაკნინებას. კარგი იქნება, თუ აფხაზურ ელიტას ეყოფა გონება, მოიძიოს მოკავშირეები თბილისში. მაგრამ, ეს ცოტა ძნელი წარმოსადგენია. აფხაზეთი გადაიქცა აპარტეიტად, რომელშიც ეთნიკურ ქართველებს წართმეული აქვთ საკუთრება. და ეს დაკანონებულია სახელმწიფო დონეზე. ფაქტიურად, ესაა რასობრივი დისკრიმინაცია. რეფერენდუმი უახლოეს ხანში აფხაზეში მოსალოდნელი არ არის. თუმცა, თუ არაფერს აკეთებ მდგომარეობის გამოსასწორებლად, დროსაც არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. საფრთხეები, როგორც აღვნიშნე, მარტო აფხაზეთში არაა.

***— მოვლენების სწრაფმა განვითარებამ თუ შეიძლება გამოიწვიოს ცვლილებები იმავე აფხაზეთში?***

— შეიძლება დეტალების წინასწარ განჭვრეტა იყოს ძნელი, თორემ, ტენდენციების დანახვა შესაძლებელია.

***— რა ტენდენციებს ამჩნევთ?***

— საქართველოს ემუქრება საფრთხეები (ამაზე ვისაუბრეთ) გეოპოლიტიკური რეალიებიდან გამომდინარე. მიმდინარეობს ბრძოლა ევრაზიისათვის. ბრძოლას ერთმანეთთან აწარმოებენ აშშ, მისი მოკავშირეები და რუსეთ-ჩინეთი. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეს ბრძოლა საქართველოსაც ეხება და არ უნდა დავუშვათ ქვეყნის დეზინტეგრაცია და დაშლა. საქართველო არ უნდა იყოს სხვა ძალების დაპირისპირების ან გარიგების ობიექტი. უნდა ვეცადოთ, გავხდეთ სუბიექტი და დავიცვათ ჩვენი ეროვნული ინტერესები.

***— თქვენ აღნიშნეთ, რომ გადანაწილება უკრაინასაც შეეხო...***

— უკრაინაში მომდინარეობს მძიმე და უკომპრომისო ბრძოლა. რუსეთი ჩააყენეს ისეთ მდგომარეობაში, რომ მას არ შეუძლია უკან დახევა. რუსეთი უკან ვერ იხევს, მიუხედავად უზარმაზარი საფრთხეებისა. რუსეთი ყირიმშიც შევიდა, იანუკოვიჩიც შეიფარა და საინფორმაციო ომიც დაიწყო პუტჩისტების წინააღმდეგ, რომლებმაც კიევში ძალაუფლება ჩაიგდეს. რუსეთი რომ ასე არ მოქცეულიყო, რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური ელიტა არ მოისვენებდა და პუტინის ხელისუფლება შეირყეოდა. პუტინი ბალანსირებას ახდენს რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ ელიტასა და რეალურ პოლიტიკას შორის. რუსეთი ყირიმიდან ვერ დაიხევს. ყველაზე დიდი საფრთხე როგორც უკრაინის, ისე გლობალური უსაფრთხოების სისტემისათვის იქნება ის, თუ უკრაინული ლაშქარი შეეცდება ყირიმზე იერიშის მიტანას. ეს გამოიწვევს ეთნიკური კონფლიქტების გაღვივებას უკრაინაში, სისხლისღვრას, ფაქტიურად, ბოსნიის სცენარის განვითარებას. ამის შედეგები დამღუპველი იქნება პირველ რიგში, უკრაინისათვის, მძიმე— რუსეთისათვის და უსიამოვნო და პერსპექტივაში მძიმე-ევროპისათვის. ერთადერთი, ვინც ამ დაპირისპირების შედეგად მოიგებს, იქნება აშშ. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის, ვიქტორია ნულანდის საუბრის ჩანაწერი კიევში აშშ-ს ელჩთან ბევრმა მოისმინა. ამ საუბარმა ნათელი გახადა, თუ ვის რა ინტერესი აქვს ამ ვითარებაში. აშშ-ს გაუჩნდა შანსი, დაიბრუნოს დაიბრუნოს ევრაზიულ სივრცეში არბიტრის როლი. ბოლო ხანს აშშ-ს ეს ფუნქცია შეერყა.

***— თქვენ ისაუბრეთ შესაძლო მძიმე შედეგებზე უკრაინისთვის, რუსეთისთვის, ევროპისთვის. საქართველოც არ იქნება კარგ დღეში?***

— ასევე მძიმე იქნება ეს შედეგები ჩვენთვის. ეს იქნება სრული კატასტროფა. ძალიან მინდა, ამ საშინელი სცენარით არ განვითარდეს მოვლენები, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვხედავ ძალას, რომელიც შემაკავებელ ფუნქციას შეასრულებდა ვერც გარეთ და ვერც უკრაინის შიგნით. უნდა გავაცნობიეროთ, რომ პირველივე სამხედრო შეტაკება იქნება ამ ჯაჭვური პროცესების დასაწყისი. უდიდესი ვიდვა ჩაიდინეს იმათ, ვინც უდიდესი საფრთხის წინაშე დააყენა უკრაინაც და მთელი მსოფლიო. ვინც ეს ყველაფერი ჩაიფიქრა, ზნეობრივი ლილიპუტები არიან. მათ დანაშაული ჩაიდინეს კაცობრიობის წინაშე. როგორც ვთქვი, საქართველო დიდი რისკების წინაშე დგას. ამ სიტუაციაში გარკვეული ძალები, ადამიანები, პირველ რიგში, „ნაციონალები“, პროვოკაციულად, გამომწვევად იქცევიან. ისინი პირდაპირ იწვევენ ცეცხლს საქართველოზე. გააჩაღებენ კოცონს და მერე დაიმალებიან. ხშირად საქართველოში ისეთ ფრაზებს გაიგონებ, რომლებიც უკრაინელი ულტრანაციონალისტების გამონათქვამებზე უფრო რადიკალურია. ქართულ არხებზე ხომ სრული ბაქვანალიაა უკრაინასთან დაკავშირებით. საერთოდ, საქართველოს ტელევიზიები დაკავებული არიან პროცესების გამწვავებით და „ნაციონალური მოძრაობის“ გათეთრებით. ამ საქმეში „ქართული ოცნებაც“ აქტიურადაა ჩართული.

## ალექსანდრე ჭიკაიძე ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელს შეხვდა



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელ ტოივო კლაარს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა ოკუპაციის ხაზზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული ვითარება განიხილეს და ბოლო პერიოდში რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ მავთულხლართების და ლობეების მონტაჟის პროცესის განახლებით გამოწვეულ პრობლემებზე გაამახვილეს ყურადღება.

მინისტრმა ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე ხელოვნურად აღმართული ბარიერების შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს გარემოება როგორც ცენტრალური მთავრობის მიერ კონტროლირებად, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებს აუარესებს.

ნიუსპრესი

## სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე, ამხილეს და დააკავეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №19 დაწესებულების კონტროლიორი პაატა ლომიძე.

გამოძიებამ დაადგინა, რომ პაატა ლომიძემ თანამდებობრივი უფლებამოვალეობების შესრულებისას, თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, მოქალაქეს №19 დაწესებულებაში მობილური ტელეფონის და სიმბარათების შეტანის სანაცვლოდ, ქრთამის სახით მოსთხოვა და 4 000 ლარი გამოართვა.

გამოძიება ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს — სსსკ-ის 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

## შსს-მ 46 აბი სუბუტექსი“ ამოიღო

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის პირველი მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1976 წელს დაბადებული ზვიად კ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ზვიად კ. იმ დროს დააკავეს, როცა ის ბათუმში, ტბელ აბუსერიძის ქუჩაზე მანქანით გადაადგილდებოდა. დაკავებულის პირადი და ავტომანქანის ჩხრეკისას 46 აბი და 4 ნატეხი „სუბუტექსი“ ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებული აბები 0,3988 გრ ნარკოტიკულ ნივთიერება ბუპრენორფინს შეიცავს. გამოძიებამ დაადგინა, რომ აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება ზვიად კ-მ თურქეთში უკანონოდ შეიძინა და 10 მარტს საქართველოში შემოიტანა.

მედიანიუსი

## თეა წულუკიანი: ქალთა უფლებებს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება“



იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონულ დირექტორ ინგებორგ გისლადოტირს შეხვდა.

მინისტრმა სტუმარს ქალთა უფლებების დაცვის კუთხით საქართველოს კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები და ინიციატივები გააცნო და ამ საკითხების შესახებ გაერო-ს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენლის მოსაზრებებიც მოისმინა.

იუსტიციის სამინისტროს ცნობით, საუბარი შეეხო დისკრიმინაციის წინააღმდეგ და ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით დაგეგმილ ინიციატივებს, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას და აღმასრულებელ ხელისუფლებაში გენდერული თანასწორობის საკითხებს.

თეა წულუკიანის განცხადებით, ქალთა უფლებებს ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. მისივე თქმით, მხარეები სტამბულის კონვენციის რატიფიკაციის თემაზე შეთანხმდნენ.

„ამ საკითხზე ჩვენ ვთანამშრომლობთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რათა სტამბოლის კონვენცია საქართველოსთან მიმართებაში ძალაში შევიდეს, რაც გულისხმობს იმას, რომ ჩვენი კანონები უნდა იცავდეს ქალთა უფლებებს, მათ შორის, ფეხმძიმე ქალის უფლებებს, ქალთა უფლებებს, რომლებიც ახლა იწყებენ პროფესიულ განვითარებას და იმ ქალების უფლებებს, რომლებიც დედები არიან და, სამწუხაროდ, ზოგჯერ ოჯახური ძალადობის მსვერპლი ხდებიან „ - განმარტავს იუსტიციის მინისტრი.

ნიუსპრესი

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

## ახალაიას, მელნიკოვს და თოფურიძეს 3,9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ

დათა ახალაიას, ოლეგ მელნიკოვს, გერონტი ალანიას და სოსო თოფურიძეს 3 წლით და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

ისინი მოსამართლემ დამნაშავედ სამი პოლიციელის ცემის ფაქტზე ცნო. გამოძიების ინფორმაციით, 2005 წელს. ე.წ მოდულის შენობაში ისინი ფიზიკურად გაუსწორდნენ პოლიციის სამ თანამშრომელს – მალხაზ აზარაშვილს, დავით კურცხალიასა და ზაზა მესხს.

მოსამართლის დღევანდელ გადაწყვეტილებას ხმაური მოჰყვა, დაზარალებულებისა და ბრალდებულების ახლობლები ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ. ამასთაან, მოსამართლემ დათა ახალაია 143-ე მუხლში, რომელიც თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას გულისხმობს, უდანაშაულოდ ცნო.

ცნობისთვის – დათა ახალია, გერონტი ალანია და სოსო თოფურიძე მიმალვაში იმყოფებიან, ოლეგ მელნიკოვი კი – პატიმრობაში.

მედიანიუსი

## არის თუ არა ხრუშჩოვკების დემონტაჟის პროექტი წინასაარჩევნო პიარის ნაწილი

„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველო“ აცხადებს, რომ თბილისში ამორტიზებული შენობების რეკონსტრუქცია-განახლების საკითხი მწვავედ დგას და იგი სასწრაფოდ გადასაწყვეტი პრობლემაა, თუმცა, 800 ე.წ ხრუშჩოვკის დანგრევისა და ახალი საცხოვრებლების აშენებასთან დაკავშირებით საკრებულოს ინიციატივას, ზერელე პროექტს უწოდებს.

„დემოკრატიული მოძრაობა“ ხედავს, თუ როგორ არის შესაძლებელი აღნიშნული პრობლემის მოგვარება, მაგრამ რაც ამ შემთხვევაში, თბილისის საკრებულოს მიერ იქნა გაჟღერებული, მასში მოყვანილი ფაქტობრივი უზუსტობების, ისე ელემენტარული ეკონომიკური და ურბანული გათვლებისა თუ ხედვების გამო, ეს ინიციატივა თავიდანვე ზერელობის ელფერს იძენს და თავიდანვე აჩენს ეჭვს, რომ ამ გამოსვლას მხოლოდ წინასაარჩევნო პიარის დანიშნულება აქვს“ - ნათქვამია პარტიის განცხადებაში.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ინფორმაციით, ძველ თბილისში არანაირი 800 ხრუშჩოვკის ტიპის კორპუსი არ არსებობს და მთლიანად ქალაქში 521 ე.წ. „ხრუშჩოვკის“ 4-5 სართულიანი ტიპის კორპუსია, თუ ამას მივათვლით ასევე ე.წ. „8 სართულიან ხრუშჩოვკებსაც“ მათი რიცხვი საგრძნობლად აჭარბებს 800-ს და რამდენიმე ათასია.

„აქ ნათლად ჩანს საკითხისადმი დამოკიდებულების სიღრმე. რაც შეეხება საკითხის ეკონომიკურ-ურბანულ დასაბუთებას, მცირე ეკონომიკური გათვლებიც საკმარისია, რომ ეჭვი შევიტანოთ რამდენად რენტაბელურია ნებისმიერი ინვესტორისთვის, ფართით დასაკმაყოფილებელი მრავალრიცხოვანი მოსახლეობის არსებობის პირობებში, არა ცენტრალურ უბნებში გასაყიდი ფართების ფასიდან გამომდინარე აღნიშნული ბიზნეს პროექტი. ალარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ თეორიულადაც, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, გასაყიდ ბაზარზე გამოდის იმდენად დიდი მოცულობის უძრავი ქონება, რომლის მყიდველიც რეალურად თბილისში არ არსებობს“ - აცხადებს პარტია.

ამასთან, „დემოკრატიულ მოძარობა“ კომუნალურ პრობლემებსაც ეხება და აცხადებს, რომ ბუნდოვანია ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფი საკომუნიკაციო და საკანალიზაციო მეურნეობის სისტემა რამდენად გაუძლებს მრავალჯერ გაზრდილ დატვირთვას. ეს თეორიულადაც გამორიცხულია და ამ სისტემას დღესვე სჭირდება რეაბილიტაცია.

პარტიის განცხადებით, აღნიშნულს ურბანული პრობლემატიკაც ემატება, რადგან ამ უბნებში გაზრდილ მოსახლეობას მეტი სკოლა, ბაგა-ბაღი, პოლიკლინიკა თუ კულტურულ-სპორტული დანიშნულების ობიექტი ესაჭიროება.

„დემოკრატიული მოძრაობა“ იმედოვნებს, რომ ყველაფერ ამაზე საკრებულოს პასუხები ექნება.

„კიდევ ერთხელ ვაფიქსირებთ, რომ ყოველივე ზემოთაღნიშნული პრობლემები სასწრაფოდ მოსაგვარებელია, ხოლო რაც შეეხება ავარიული სახლების დემონტაჟსა და ახლის აშენებას, პირველ რიგში აღნიშნული იმით კი არ უნდა შემოიფარგლებოდეს ე.წ. „ხრუშჩოვკაა“ ეს თუ ე.წ. „იტალიური ეზო“, არამედ რა მდგომარეობაშია ამჟამად კონკრეტული შენობა-ნაგებობა და იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პრობლემა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, მისი მოგვარება სახელმწიფოსგან უშუალო ჩართულობით, მათ შორის ფინანსური ჩართულობით არის მხოლოდ შესაძლებელი“ - აცხადებს პარტია და გაცხადებული უზუსტობებიდან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, რომ ეს მხოლოდ წინასაარჩევნო პიარის ნაწილია და აბსოლუტურად კოპირებს წინა ხელისუფლების ხელწერას, როდესაც წინასაარჩევნოთ ისმოდა დიდი დაპირებები, ხოლო არჩევნების შემდეგ ხალხი იმედგაცრუებული რჩებოდა.

„უფრო მეტიც, “ქართული ოცნება”, უუნარო და არაკომპეტენტური მმართველობის გამო, თავისი დაღმავალი რეიტინგის აწევას ცდილობს რა ასეთი იაფფასიანი მეთოდებით, რეალურად ზიანს აყენებს ისედაც ძლივს მსუნთქავ სამშენებლო ბიზნესს, რადგან მას შემდეგ რაც ეს „ინიციატივა“ გაჟღერდა, მოსახლეობაში ფუჭი იმედების განცდამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს სამშენებლო, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ბიზნესის კიდევ უფრო მეტი სტაგნაცია, რომელშიც არ არის ცოტა ხალხი დასაქმებული და რომელზეც ეკონომიკის ბევრი სხვა სეგმენტია მიბმული“ - ნათქვამია „დემოკრატიული მოძრაობის“ განცხადებაში.

ნიუსპრესი

## თაღლითობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ოთარ გ. თაღლითობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა სხვადასხვა დროს ორი მოქალაქისგან დაიქირავა და იჯარა-შესყიდვის უფლებით აიღო 6 მსუბუქი ავტომანქანა, შემდეგ კი მფლობელების ნებართვის გარეშე ისინი თაღლითურად მიისაკუთრა და უკანონოდ გაასხვისა. შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა უკანონოდ გასხვისებული 4 ავტომანქანა თბილისსა და თელავში, ხოლო 1 ავტომანქანა, დაშლილი სახით, თბილისში, ავტონაწილების ერთ-ერთი ბაზრობიდან ნივთმტკიცებად ამოიღეს.

მედიანიუსი

# შალვა ხაჭაპურიძე: თანამდებობიდან წასული კოტე კუბლაშვილი უკან დავით უსუფაშვილმა დააბრუნა“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან

***— ბატონო შალვა, საზოგადოება გულგატეხილია, ხელისუფლება ისე გადაჰყვა ამ კოჰაბიტაციას, რომ სამართლიანობის აღდგენა აღარ გველირსებაო. როგორია თქვენი, როგორც ადვოკატის შეფასებები ამ ყველაფერთან დაკავშირებით?***

— კითხვა საკმაოდ მძიმეა. ხალხი ითხოვს სამართლიანობის აღდგენას. ეს პროცესი დაწყებულია, თუმცა საზოგადოებას ეჩქარება. ხალხი ნაწამებია, ქონება წართმეული, სახლკარწართმეული, ბიზნესწართმეული და მათიც კარგად მესმის. თუმცა, ასე ერთი ხელის მოსმით სამართლიანობა ვერ აღდგება. სამართლიანობა, მართალია, ნელი ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ მიმდინარეობს. მერწმუნეთ, ამ საკითხზე აქტიურად მუშაობენ შესაბამისი სტრუქტურები. ნაციონალებით ქუჩაში ხომ არ დაერევიან დამნაშავეებს და ასე აღადგენენ სამართლიანობას? თუ ვინმეს ამის იმედი ჰქონდა, ასე არ გამოვა.



***— მთავარი პროკურორის ინიციატივაზე რას ფიქრობთ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით?***

— მე ვეთანხმები ამ ინიციატივას. ბევრი საპირისპირო და აგრესიული განცხადება მოვისმინე, მაგრამ, თუ ჩვენ გვინდა, რომ ნორმალურ სახელმწიფოში ვიცხოვროთ, მაშინ არსებობს წესები და კანონები, რომელსაც უნდა დავემორჩილოთ. დღეს ჩვენს საზოგადოებაში ანარქისტული აზროვნება დამკვიდრდა. ამ აზროვნებით კი ქვეყანას ვერ ავაშენებთ. მე ვთვლი, რომ სამართლიანობის აღდგენა ნელა, მაგრამ მიზანმიმართულად მიმდინარეობს.

***— თქვენთვისაც ცნობილია გუშინდელი სპეცოპერაციის შესახებ, სადაც კუდის ყოფილი მაღალჩინოსნები და მათ შორის მეგის ქარდავას ძმა აიყვანეს. ეს ოპერაციაც სამართლიანობის აღდგენის კუთხით არის განხორციელებული?***

— რასაკვირველია, პირდაპირ კავშირშია სამართლიანობის აღდგენასთან. დილით ყოფილი ფოთის მერის, დათო ქანთარიას ზარმა გამაღვიძა, როდესაც შევიტყვე მათი დაკავების შესახებ, სია ჩამოვწერე, თუ ვისთან უნდა დამერეკაო. დათო ქანთარიას ადვოკატიც ვიყავი, სულხან მოლაშვილის ადვოკატიც. რა დღეში ჩააგდეს ეს ხალხი, ახლა ამაზე თავიდან აღარ ვისაუბრებ. ღმერთი ზევიდან იყურება, ქვევით კი ხელისუფლება მოქმედებს. არავის არ შერჩება ჩადენილი დანაშაული. შეძლებისდაგვარად მიმდინარეობს სამართლიანობის აღდგენა, რა ქნას მეტი ხელისუფლებამ, ქუჩაში დაერიოს ამ ხალხს და ბართლომეს ღამე მოაწყოს? ასე არ გამოვა! მე ხშირად დავდივარ ქუჩაში ფეხით, ვესაუბრები ხალხს, ვიცი მათი სატკივარი და წყენის მიზეზი, ისიც ვიცი, რომ დიდი მოლოდინი იყო, თუმცა, მე მაინც მოთმინებისკენ მოვუწოდებ მათ და ვეტყვი, რომ ყველაფერი მიდის ისე, როგორც წესი და რიგია. ამ ნაძირალების დაკავებას რაც შეეხება, მათ უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი, საერთოდ, დაკავებულზე აღარ მიყვარს ხოლმე ზედმეტი ლაპარაკი, საკუთარ ნათესავებს დასდევდნენ და არ ინდობდნენ. დათო ქანთარიას დიაბეტი დამართეს, თავს დაესხნენ, უკანონო პატიმრობაში ჰყავდათ და ასე შემდეგ. აღარ მინდა მათ ბინძურ საქმეებზე საუბარი, უკვე დაპატიმრებულები არიან და დანარჩენს გამოძიება დაადგენს. სამართალმა გაარჩიოს, ვინ არიან და რა არიან. თუმცა, აქვე დავამატებ, სანამ კუბლაშვილი იჯდება თავის სკამზე, სასამართლოში სამართლიანობა მითია.

***— ფაქტია, რომ სასამართლოს ვერაფერი მოუხერხეს... პროკურატურა იჭერს, სასამართლო ათავისუფლებს...***

— დღეს სასამართლო კუბლაშვილის ხელშია. არიან მოსამართლეები, რომლებიც ცდილობენ მისგან გათავისუფლებას, თუმცა, ჰყავს ისეთი მოსამართლეებიც, რომელთა დაშანტაჟებას კვლავაც ახერხებს. სწორედ ამიტომ ვიღებთ ასეთ შედეგს. მეუბნებით, სასამართლოს ვერაფერი მოუხერხესო. მოუხერხეს რა, ჩაალაგა ჩემოდნები და მიდიოდა ეს კაცი, გადამდგარი იყო, მოატრიალა ბატონმა პარლამენტის თავმჯდომარემ და უთხრა, დარჩიო. ახლა ადგეს და პარლამენტის თავმჯდომარემ მიხედოს სამართლიანობას. მთელმა საქართველომ იცის, რომ უსუფაშვილმა მოატრიალა გადამდგარი კუბლაშვილი. კუბლაშვილის წასვლა ნიშნავდა იმას, რომ ახალი სასამართლო სისტემა შეიქმნებოდა, თუმცა, ეს რატომღაც არ მოინდომა უსუფაშვილმა და დღეს თუ რამე ცოდვები ტრიალებს, ყველაფერი უსუფაშვილის კისერზეა.

***— რატომ მოატრიალა, არ იცოდა უსუფაშვილმა, რომ კუბლაშვილის ხელში სასამართლო სამართლიანი და დამოუკიდებელი ვერ იქნებოდა?***

— მე არ ვიცი, რა იცოდა და არა უსუფაშვილმა, ეს თავად მას ჰკითხეთ. ის ცოდო-მადლი, რომელიც დღეს ტრიალებს, ორივე მათგანის კისერზეა.

***— თქვენი აზრით, ამ შემთხვევაში რა ინტერესი ამოძრავებდა უსუფაშვილს?***

— მე ვფიქრობ, პოლიტიკური ინტერესი, ეს კოჰაბიტაციის პროცესი და ასე შემდეგ. უსუფაშვილი პოლიტიკოსია. როგორც ჩანს, მან ასევე იფიქრა, რომ არ შეიძლება, შეეხო სასამართლოს თავმჯდომარეს, თუ უხეშად ჩავერევით, ეს დემოკრატიული ქვეყნების თვალში უხეშ ჩარევად ჩაგვეთვლება და ასე შემდეგ. თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, უსუფაშვილის ეს ნაბიჯი კუბლაშვილმა ბოროტად გამოიყენა. სანამ კუბლაშვილი იქნება ამ თანამდებობაზე, მანამ ნუ გვექნება პრეტენზია სასამართლოს დამოუკიდებლობასა და სამართლიან გადაწყვეტილებებზე.

***— ბატონო შალვა, კიდევ ერთ პრობლემურ საკითხს შევეხოთ. თქვენთვისაც ცნობილია, რომ პრემიერი სტუდენტებს შეხვდა, სადაც ის ამბობს, პროფესიონალ კადრებს სანთლით ვეძებო, თუმცა მისი ოპონენტები ამტკიცებენ, რომ პროფესიონალი კადრებისთვის ყველა კარი მაგრად არის ჩაკეტილი. როგორ ფიქრობთ, ჩვენს ქვეყანაში ეშველება რამე ნეპოტიზმს?***

— მე არაერთხელ მისაუბრია, თუნდაც თქვენი გაზეთის მეშვეობით, რომ ძალიან გაბერილი კადრებია ჩვენს მთავრობაში, რომ ძალიან ბევრი დეპარტამენტი თუ უწყებაა გასაუქმებელი. კვალიფიციური კადრები კი ნამდვილად ჭირს. რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის შეხვედრას სტუდენტობასთან, მე ამასთან დაკავშირებით არათუ ჩემი მოსაზრება, არამედ ფაქტებიც გამაჩნია. მაგალითად, ის, ვითომ სტუდენტი გოგონა, ქეთი ქობულია, რომელიც ნამდვილად არ არის სტუდენტი, პრემიერს რომ ეკითხებოდა და, ალბათ, ამას კითხვასაც ვერ დავარქმევთ – თქვენ ენერგეტიკის მინისტრად გყავთ ფეხბურთელი და შინაგან საქმეთა მინისტრი კი იურისტი არ არის და ამიტომაც არ არის ხალხში სამართლიანობის განცდაო. ეს ვითომ სტუდენტი ქეთი ქობულია დაახლოებით ორი წლის წინ მოძრაობა „ეროვნულებში“ შემოვიდა, ჩვენ დავასაქმეთ ჩვენთან ეს გოგო და შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ ის იყო შემოგზავნილი აგენტი. მან თავისი პირით აღიარა, რომ აგენტი იყო. თუ ვინმეს დასჭირდება, ჩვენ ჩანაწერებიც გვაქვს და ამ ყველაფრის მტკიცებაც შეგვიძლია მე და სანდრო ბრეგაძეს. სხვათა შორის, ამ შეხვედრის შემდეგ სანდრომ დამირეკა და მითხრა, შეხედე, შალვა, რა ხდებაო. ჩვენ ასევე ვიცით იმ თანამშრომლის სახელი და გვარი, ვისი დავალებითაც ეს ქეთი ქობულია მაშინ მოქმედებდა. დღეს ნამდვილად არ ვიცი, ვისი დავალებით მოქმედებს.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ის შეგზავნილი იყო ამ შეხვედრაზე?***

— მე გითხარით ის, რაც ზუსტად ვიცოდი. დასკვნები მკითხველმა თავად გამოიტანოს. უკაცრავად, მაგრამ კალაძეს რატომ არ შეუძლია, ენერგეტიკის მინისტრი იყოს?! ფეხბურთელი რომ იყო, იმიტომ?! ერთ-ერთი საუკეთესო მინისტრია მინისტრთა კაბინეტში. გაშალეთ გუგლი და ნახეთ ცნობილი ფეხბურთელები – მესი, რონალდო, რონალდინიო. ეს ხალხი სამეფო ოჯახებიდან არიან დაჯილდოებული. რა, სპორტსმენს არ შეუძლია, კარიერის დასრულების შემდეგ მომავალი ჰქონდეს?! მე უსუფაშვილს არ ვეთანხმები მის შეფასებებში, რომ სპორტსმენები გვყავს პარლამენტში და პოლიტიკოსების სიმცირეს განვიცდით. სწორედ სპორტსმენს შეუძლია, ჯანსაღად იაზროვნოს და გადადგას სწორი ნაბიჯები. ხალხო, 25 წელია, ეკონომიკა არ გვქონია და ახლა ყველაფერს ერთ დღეში ხადურისგან რომ ვითხოვთ, ეს არის სწორი? ახლა ასფალტი ამოტყდა ქუჩებში და ამაზეა ატეხილი ერთი ამბავი. კი ბატონო, ავტეხოთ, მაგრამ, ნუ დაგვავიწყდება, სად ვიყავით და საიდან მოვდივართ! ზოგიერთებს ეგონათ, მოვიდოდა ბიძინა, ასფალტსაც დააგებდა და იმ ახალ ასფალტირებულ გზებზე „X6“-ებს დაგვიყენებდა. აი, ეს ეგონათ და რატომ ეგონათ, ძალიან მაინტერესებს. ჩადით, ხალხო, ევროპაში, ნახეთ, რა ხდება, 99% იმას ჩალიჩობს, რომ საკუთარი ბიზნესი ჰქონდეს, მხოლოდ 1%-ს უნდა, თანამდებობაზე იყოს. საქართველოში კი 99% ჩალიჩობს, რომ თანამდებობაზე იყოს და მხოლოდ ერთი პროცენტი აკეთებს ბიზნესს. გაანძრიეთ ხელი და თქვენ თვითონ შექმენით ეს დოვლათი. თუ მაინცდამაინც ბიძინამ უნდა ჩამოგაკითხოს და ატმის ხე რომ გიდგას, იმაზე დაგიკიდოს დოლარები, ეგრე არ გამოვა, ჩემო კარგებო, არა! კიდევ ვიმეორებ, 25 წელი ისე ვიცხოვრეთ, რომ სახელმწიფო არ გვქონია, ქვეყანას ბიუჯეტი არ ჰქონია. ხომ ყველამ კარგად ვიცით, როგორც ავსებდნენ ნაციონალები ბიუჯეტს?! გაატყავეს მთელი ბიზნესი. ვისაც რამე შერჩა, ისიც ან მალავდა, ან შეშინებული გარბოდა ქვეყნიდან. ამ დანგრეულს აშენება უნდა, ფეხზე წამოდგომას დრო სჭირდება. ხალხისაც კარგად მესმის, მაგრამ, მოდით, ვისწავლოთ სახელმწიფოს ერთად შენება. ვაცადოთ ამ ხალხს და, თუ რამდენიმე წელიწადში არ იქნება არანაირი შედეგი, მერე მოვთხოვოთ პასუხი. ის, რაც 25 წელი ინგრეოდა, ერთ წელიწადში როგორ უნდა აშენდეს?! მე ძალიან მომწონს ღარიბაშვილის პოლიტიკა, მისი საგარეო კურსი. რამდენი წელი ცდილობდა სააკაშვილი, რომ თუნდაც დერეფანში შემთხვევით შეხვედროდა ობამას და მისთვის ხელი ჩამოერთმია. ღარიბაშვილის წარმატებულმა ვიზიტებმა ნაციონალები საერთოდ ამოაგდეს კალაპოტიდან და არათანმიმდევრულები გახადეს. თავადაც კარგად ხვდებიან, რომ პოლიტიკაში მათი დღეები დათვლილია. შემდეგ საპარლამენტო არჩევნებზე მათი ხსენებაც კი აღარ იქნება ქართულ პოლიტიკაში. კარგად იცის სააკაშვილმა, რომ ის წარსულია, აღარავის სჭირდება და სწორედ ამიტომაც გაჰყვირის უკრაინაში დუჟმორეული.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

ქ-ნი მარიამი

☎ 599-90-54-78, 234-02-38

# ოლეგ იაძეს ქართულ ოცნებაში“ არ შემოვუშვებთ“

## დები მამასახლისები კასპის ყოფილ გამგებელს აფრთხილებენ

შორენა მარსაგიშვილი

კასპში პოლიტიკურად საკმაოდ ცხელი გაზაფხულია მოსალოდნელი. ისეთი ამბები დატრიალდება, შესაძლოა ვლადიმერ პუტინმა დედის დაცვის მიზნით ტანკებიც კი შემოგვისიოს. როგორც უკვე ვიუწყებოდით, 6 თვიანი გაუჩინარების შემდეგ ხმაურიანმა ოლეგ იაძემ პოლიტიკაში დაბრუნება გადაწყვიტა. ის არჩევნებშიც გეგმავს მონაწილეობის მიღებას.

ბუნებრივია, ყველას გახსოვთ, როგორ ებრძოდა მას კასპის მოსახლეობის ნაწილი. განსაკუთრებით ქალები აქტიურობდნენ. იაძეს მოწინააღმდეგეთა ავანგარდში მარეხ ყამბეგაშვილი და დები ნინო და ნელი მამასახლისები იდგნენ.

ნინო და ნელი მამასახლისებმა სხვებთან ერთად ამ დღეებში შეიტყვეს პოლიტიკაში კასპის ყოფილი გამგებლის დაბრუნების შესახებ. როგორც ჩვენთან საუბარში ნინო და ნელი მამასახლისებმა განაცხადეს, იაძეს პოლიტიკაში დაბრუნების უფლება არა აქვს.

– მან თავის თანამზრახველებთან დანაშაული ჩაიდინა (ყველა საჯარო მოხელეა), რაც პროკურატურის ქვემდებარეა. კერძოდ, 2012 წლის 13 იანვარს „პირველ რადიოს“ მისცა ინტერვიუ, სადაც მან შეურაცხყოფა მოგვაყენა, სოფელ წინარეხის გამგებელს დაავალა, მოეწყო ჩვენი გასახლება, რაც დაადასტურებდა რადიოში ალასანიას დეიდაშვილის ბრძოლას მის წინააღმდეგ და ჩვენს ამორალურ ქალებად მოხსენიების გამართლებას. იუთუბიზე დევს ვიდეო რგოლი, რომელსაც სახელად „დების სოფლიდან გასახლება“ ჰქვია. აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს შსს-ს და სხვა ორგანოებს მივმართეთ, მაჟორიტარ დეპუტატს დავით ონოფრიშვილს, მმასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც, მაგრამ უშედეგოდ. ყოველივე ამის შემდეგ მივმართეთ პროტესტის უკიდურეს ზომას, შიმშილობა დავიწყეთ 6 ადამიანმა. იაძე დავადანაშაულეთ ნაცებთან გარიგებაში და შეურაცხმყოფელ განცხადებებსა და ქმედებაში. არსებობს ვიდეო მასალა, სადაც ჩანს, ძალის გამოყენებით როგორ გამოგვიყვანეს გამგეობის შენობიდან ოლეგის ბრძანებით სამაშველო სამსახურს ამოფარებულმა მისმა ზონდერებმა, რამაც უხეშად შელახა'შეკრებისა და მანიფესტაციების საქართველოს კანონის 11/2 მუხლის მოთხოვნები. მათი მოქმედებები ატარებდა უფლებამოსილების გადამეტებისა და ბოროტად გამოყენების ნიშნებს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება საქართველოს შსს-ს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს კასპის რაიონულმა სამმართველომ. ჩატარდა თითქმის ყველა საგამოძიებო მოქმედება, თუმცა გამოძიებაზე ზედამხედველი პროკურატურა აშკარად აჭიანურებს გამოძიებას, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ნინო მამასახლისმა.

არჩევნების შემდეგ მთელ რიგ სოფლებში გამგებლები შეცვალეს. სოფელ წინარეხის გამგებლად ნელი მამასახლისი უნდა დაენიშნათ. ამაზე სიტყვიერი შეთანხმებაც არსებობდა. თუმცა ბოლო მომენტში ოლეგ იაძემ გამგებლად სხვა დანიშნა.

რა ხდებოდა ოლეგ იაძის გამგებლობისას კასპში, რატომ არ დააბრუნებენ მას „ქართულ ოცნებაში“, ამ თემებზე „ახალ თაობას“ ნელი მამასახლისი ესაუბრება.

**ნელი მამასახლისი:**

– ნაციონალებს ქვეყანაში საშინელი რეჟიმი ჰქონდათ დამყარებული. მათი წყალობით, ხალხი განსხვავებული აზრის დაფიქსირებასაც კი ვერ ბედავდა. ამ მხრივ განსაკუთრებით საშინელი მდგომარეობა იყო რეგიონებში. თბილისში კიდევ შეიძლებოდა რაღაცის თქმა, იქ კი გამორიცხული იყო. ჩვენ კასპში, სოფელ წინარეხში გვაქვს აგარაკი, სადაც ხშირად ჩავდიოდით ხოლმე. როცა „ქართული ოცნება“ შეიქმნა, მე და ჩემი და ნინო წავედით კასპში. აქტიურად ვებრძოდით ნაციონალებს. ამის გამო ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები საშინელ დღეში გვაგდებდნენ, მაგრამ უკან არ დაგვიხევია. წინარეხის თემში 5 სოფელი შედის. ამხელა თემში მხოლოდ 2 ქალი ვიბრძოდით. მახსოვს, საპარლამენტო არჩევნების წინ დავით ონოფრიშვილი რომ ჩამოვიდა მოსახლეობასთან შესახვედრად. კაცი ვერ იპოვეს, ვინც მას შეხვდებოდა. მხოლოდ ჩვენ მივედით. ვიყავით ერთი გუნდი, ერთად ვიბრძოლეთ და ერთად მოვიგეთ არჩევნები. მაშინ ოლეგ იაძეც ჩვენთან ერთად იყო.

***– ოლეგ იაძესთან მაშინ როგორი ურთიერთობა გქონდათ?***

– ჩვეულებრივი. თანამებრძოლები ვიყავით. თუმცა ის „ქართული ოცნების“ პარტიის წევრი არ ყოფილა. ის ალასანიას პარტიის „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი იყო. მოგვიანებით ის ამ პარტიასაც დაუპირისპირდა და იქიდანაც წამოვიდა.

***– თქვენ შორის დაპირისპირება რატომ დაიწყო?***

– იმიტომ დაიწყო, რომ ეგ ნაციონალებს გაურიგდა.



***– რაში დასჭირდა ნაციონალებთან გარიგება. არჩევნები ხომ ოცნებამ მოიგო?***

– არჩევნების შემდეგ მას გამგებლობის ამბიცია გაუჩნდა. გამგებლებს ჯერჯერობით საკრებულოები ირჩევენ. საკრებულოების უმრავლესობაში კი ნაციონალები სხედან. ასეა მთელს საქართველოში და ასეა კასპშიც. გამგებელი რომ გამხდარიყო, ამისთვის ოლეგსაც სჭირდებოდა მათი მხარდაჭერა. ამიტომაც შევიდა მათთან გარიგებაში.

***– ნაციონალებმა რა მიზეზით დაუჭირეს იაძეს მხარი?***

– მხარდაჭერის სანაცვლოდ იაძემ სოფლის გამგებლებად სულ მათი ხალხი დანიშნა. წინარეხის გამგებლადაც ნაციონალი დანიშნეს. არადა, ჩემი კანდიდატურა უკვე შეთანხმებული იყო.

***– ვისთან იყო შეთანხმებული?***

– აბსოლუტურად ყველასთან. მათ შორის იაძესთანაც. პარასკევ დღეს დამიბარეს კასპში, გამგეობის შენობაში, სადაც მითხრეს, რომ ორშაბათს გაიმართებოდა კრება, სადაც სოფლის გამგებლად დამნიშნავდნენ. კრება მართლაც გაიმართა, მაგრამ იქ სხვა სპექტაკლი დადგა ოლეგმა. გაითამაშეს, თითქოს ხალხი იყო ჩემი წინააღმდეგი. სწორედ მაშინ გავრცელდა ვიდეო, სადაც ვითომ ხალხი სოფლიდან ჩვენს გასახლებას ითხოვდა.

***– ვიღაც ქალი ხომ მართლა ითხოვდა თქვენს გასახლებას?***

– ეგ ქალი იყო სოფლის რწმუნებულის დედა. მაგან ეს განცხადება იაძის და თავისი შვილის დავალებით გააკეთა. ჩვენზე ათასი საშინელება თქვა. ცუდი ყოფაქცევის ქალები გვიწოდა და მოიტყუა, თითქოს სოფელი ჩვენს გასახლებას ითხოვდა. ჟურნალისტებს მოატყუეს, რომ სოფელში კრება იმართებოდა. სინამდვილეში კი წინასწარ დადგმული სპექტაკლი იყო. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდებოდით. საშინელ დღეში ჩავარდნენ ჩვენი ნათესავებიც. მათ ნახეს სიუჟეტი, რომ სოფელი ჩვენს გასახლებას ითხოვდა. გაგიჟდნენ, ვერ მიხვდნენ, რა უნდა ჩაგვედინა ისეთი, სოფელს ჩვენი გასახლება რომ მოეთხოვა.

***– ამის საპასუხოდ თქვენ მას აქციები მოუწყვეთ?***

– ამის საპასუხოდ არა. ჩემი კანდიდატურა რომ ჩააგდებინა, ამის გამო მხოლოდ ვუსაყვედურე. ვუსაყვედურე იმის გამოც, რომ „ქართული ოცნება“ მიწასთან გაასწორა. ნაციონალები დაგვცინოდნენ კიდევაც. ეს არის თქვენი ოცნება, რომ თანამდებობებზე ისევ ჩვენ ვყოფილიყავითო. სოფლის რწმუნებულებს ეგ ოცნების პარტიის ოფისში შეხედვასაც უკრძალავდა. ცოტა ხანში „თავისუფალ დემოკრატებსაც“ დაუწყო ლანძღვა.

***– იმ პარტიის წევრი რომ იყო?***

– დატოვა ეგ პარტიაც. „პირველი რადიოს“ ეთერში მან განაცხადა, რომ მას ირაკლი ალასანიას დეიდაშვილი ჩვენი დახმარებით ებრძოდა. ჩვენზე ათასი საშინელება თქვა. ამის შემდეგ უკვე გადავწყვიტეთ შიმშილობის აქციის დაწყება. იაძის ატანა უკვე შეუძლებელი იყო, იგინებოდა და საცემად იწევდა ჩვენზე.

***– შიმშილობის აქცია გამგეობის შენობაში დაიწყეთ?***

– გამგეობის შენობაში გამოვაცხადეთ შიმშილობა. აქციაში 6 ქალი ღებულობდა მონაწილეობას, აქციის მეორე დღეს, ოლეგის ზონდერები ჩემს დას და კიდევ ერთ მოშიმშილეს თავს დაესხნენ.

***– რას ნიშნავს თავს დაესხნენ?***

– მოშიმშილე ქალები ძალის გამოყენებით ზონდერებმა შენობიდან გაათრიეს. ამის გამო ჩვენ სარჩელიც შევიტანეთ, მაგრამ საქმე ჯერ არ განხილულა.

***– რატომ არ ხდება საქმის განხილვა?***

– ის პროკურორი, რომელსაც ჩვენი საქმე ჰქონდა, გარდაიცვალა. მერე არჩევნები იყო და ამ საქმისთვის ველარ მოიცალეს. ჩვენ ამ საქმეს მაინც არ შევეშვებით. იაძეს უამრავი საშინელება აქვს ჩადენილი. მას პოლიტიკაში დაბრუნების უფლება ნამდვილად აღარ აქვს.

***– თქვენი აზრით, რატომ ბრუნდება ის პოლიტიკაში?***

– არ ვიცი. აბა, მე საიდან უნდა ვიცოდე, მის თავში რა აზრები ტრიალებს?! ერთ რამეში დარწმუნებული ვარ, რომ თუ ოცნება მაგას დააბრუნებს, დიდ შეცდომას დაუშვებს. მე კატეგორიულად ვაცხადებ, რომ იაძეს „ქართული ოცნების“ რიგებში დაბრუნების უფლებას არ მივცემ.

***– რატომ არ მისცემთ?***

– იმიტომ, მაგან ოცნება საშინელ დღეში ჩააგდო. ერთ რჩევას მაგასაც მივცემ, დაანებოს პოლიტიკას თავი და მიხედოს სამზოს და ტატამს. მაგის გარეშე უფრო კარგად მუშაობს კოალიცია.

***– რაში გამოიხატება უფრო კარგად მუშაობა?***

– საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ეგ აღარ იყო გამგებელი და ამ არჩევნებზე კოალიციამ უფრო დამაჯერებლად გაიმარჯვა, ვიდრე საპრეზიდენტოზე. თვითმმართველობის არჩევნებს კიდევ უფრო დამაჯერებლად მოვიგებთ.

***– იაძე ამბობს, რომ თუ ოცნებაში არაფერი შეიცვლება, კასპში კოალიცია არჩევნებს წააგებსო.***

– არაფერსაც არ წააგებს. ეგ შეიძლება იაძეს უნდა, რომ ასე მოხდეს. კასპში თუ არაფერი გაკეთებულა, ეგ მაგის ბრალია. მთელი 9 თვე ჩვენთან ბრძოლას შეალია. რაიონისთვის არაფერი არ გაუკეთებია. ახლა გამოდის და ვიღაცას რაღაცას აბრალებს. ეგ ჭკვიანად იყოს, თორემ ციხეში მოუწევს წასვლა.

***– რატომ მოუწევს ციხეში წასვლა?***

– ცუდი რაღაცები აკეთა და იმიტომ. კასპში დღეს საქმე საკმაოდ რთულადაა. ნაციონალები საბოტაჟს გვიწევენ, მაგრამ ვერაფერს დაგვაკლებენ. სამწუხაროა, რომ არაფერს არ აკეთებს კასპის ახლანდელი გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, რომელიც ამ პოსტზე იაძის რეკომენდაციით დაინიშნა.

***– რატომ გაუწია მას იაძემ რეკომენდაცია?***

– მისი ადვოკატი იყო. როგორც უკვე გითხარით, გამგებლობის 9 თვე იაძემ ქალებთან ბრძოლას შეალია. „სარკისთვის“ მიცემულ ინტერვიუში მან შეურაცხყოფა მიაყენა მარეხ ყამბეგაშვილს. მარეხმა მას სასამართლოში უჩივლა. სწორედ იმ საქმეში იყო ახლანდელი გამგებელი იაძის ადვოკატი.

***– ის სასამართლო ვინ მოიგო?***

– სამწუხაროდ, მარეხმა წააგო. მოსამართლემ თქვა, რომ საქართველოში არ ყოფილა პრეცედენტი, როცა მორალური შეურაცხყოფის გამო ვინმე დაესაჯათ. იაძეს ბევრის შეურაცხყოფა შერჩა. ახლა მოუნდა, რომ თავიდან არიოს სიტუაცია, არაფერი არ გამოუვა, მეეჭვება, რომ მაგას არჩევნებში მონაწილეობის უფლება მიეცეს.

***– რატომ არ მიეცემა?***

– არჩევნებში კენჭი რომ იყაროს, რომელიმე პარტიის წევრი უნდა იყოს. იაძე არც ერთი პარტიის წევრი არ არის. „თავისუფალი დემოკრატები“ ისე გალანძღა, მაგას უკან არ მიიღებენ. მე პირობას ვიძლევი, რომ არც პარტია „ქართული ოცნება“ მიიღებს მაგას, არც რესპუბლიკელები არ გაუღებენ იაძეს კარს. ასევე მოიქცევიან კოალიციაში შემავალი სხვა პარტიებიც. იაძე ფაქტიურად უპარტიოდ რჩება. ნაციონალებში თუ შევა, შეუძლია კენჭის ყრა.

***– სხვა პარტიებიც ხომ არის?***

– არის, მაგრამ იქ არ შევა. თავის დროზე ეგ ლეიბორისტი იყო, მაგრამ უკან არ დააბრუნებენ. მოკლედ, გამოუვალ მდგომარეობაშია და ფონს გასვლას ხმაურიანი განცხადებებით ცდილობს. ამტკიცებს, რომ თურმე მაგის გარეშე არჩევნებს წავაგებთ. მაგის გარეშე უფრო კარგად ვმუშაობთ. თავი დაგვანებოს და ხელს ნუ გვიშლის.

***– შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრისთვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ რესპუბლიკელები და ალასანია ამხილა, რას გულისხმობდა?***

– რა ჰქონდა ან ერთს, ან მეორეს მაგის სამხილებელი. მხილებით იქეთ ამხილეს ეგ. ნაციონალებს გაურიგდა და რაიონისთვის არაფერი არ გაუკეთებია. როგორც თავად თქვა, თავის დროზე წასვლა მას ირაკლი ღარიბაშვილმა ურჩია. ღარიბაშვილმა სწორად შეაფასა მისი შესაძლებლობები. დარწმუნებული ვარ, ბატონი პრემიერი იაძეზე ახლაც ასე ფიქრობს. ეგ თუ შორს იქნება, „ქართული ოცნებისთვისაც“ კარგი იქნება და კასპისთვისაც.

# ვინ დატოვა აგვისტოს ომის დროს საქართველო

## ირაკლი სესიაშვილმა სია გამოაქვეყნა

შორენა მარსაგიშვილი

2008 წლის აგვისტოში ქვეყნიდან წასული სახელმწიფო მოხელეების თემა კვლავ აქტუალურია. საპარლამენტო უმცირესობა ოცნებას ულტიმატუმს უყენებს. გოგა ხაჩიძის თქმით, ხელისუფლებამ ან უნდა დაამტკიცოს, რომ ნაციონალები ქვეყნიდან გაიქცნენ, ანდა ბოდიში მოიხადონ.

გოგა ხაჩიძის პრესკონფერენციას გუშინ დეპუტატი ირაკლი სესიაშვილი გამოეხმაურა, ოღონდ ბოდიში არავისთვის მოუხდია. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ 2008 წლის 7-14 აგვისტოს, ხელისუფლების ყოფილი წევრების ქვეყნიდან გასვლა-შემოსვლის სია გამოაქვეყნა.

თავის დროზე ეს სია პაატა დავითაიამ გამოაქვეყნა, რომელიც 2008 წელს აგვისტოს ომის შემსწავლელ კომისიას ხელმძღვანელობდა. პაატა დავითაიას ეს სია საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შეფმა ბადრი ბიწაძემ გადასცა.



ბოროტი მეოცნებეები ამბობენ, რომ მაშინ დავითაიამ სია სრულად არ გამოაქვეყნა. ამას პაატა დავითაია უარყოფს. მისი განცხადებით, მან ბიწაძის მიერ მიწოდებული მონაცემები გამოაქვეყნა. მისივე განმარტებით, ეს სია პარლამენტის არქივში ინახებოდა.

ეს ინფორმაცია ირაკლი სესიაშვილმაც დაადასტურა. მისი თქმით, სია აგვისტოს ომის შემსწავლელმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ საზღვრის დაცვის დეპარტამენტიდან გამოითხოვა და ეს სია პარლამენტის არქივში ინახება.

სესიაშვილის გამოთხოვილი სიის მიხედვით ირკვევა: პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ქვეყანაში 8 აგვისტოს დაბრუნდა. გიგა ბოკერია საქართველოში 9 აგვისტოს დაბრუნდა, გასვლის თარიღი მითითებული არ არის. ნინო კალანდაძე ასევე ქვეყანაში შემოვიდა 10 აგვისტოს, ქვეყნიდან მომდევნო გასვლის თარიღი კი სიაში მითითებული არ არის. დავით ბეჟუაშვილი ქვეყნიდან 7 აგვისტოს გავიდა და შემოვიდა 11 აგვისტოს, ხოლო 15 აგვისტოს კვლავ გავიდა წითელი ხიდიდან. ეკა ტყეშელაშვილი ქვეყნიდან გავიდა 13 აგვისტოს და დაბრუნდა 15-ში. ბაკურ კვეზერელი 9 აგვისტოს დაბრუნდა ქვეყანაში. ბეჟან ხურციძემ საქართველოს საზღვარი გადაკვეთა 7 აგვისტოს, შემოსვლის თარიღი სიაში მითითებული არ არის. რომან მარსაგიშვილი ქვეყნიდან გავიდა 8 აგვისტოს, შემოსვლის თარიღი კი უცნობია. მერაბ სამადაშვილი სადახლოს გავლით ქვეყნიდან 12 აგვისტოს გავიდა და იმავე დღეს დაბრუნდა. გიორგი ღვინიაშვილი ქვეყანაში, ვალეს გავლით 11 აგვისტოს დაბრუნდა, თუმცა, როდის გავიდა ქვეყნიდან, უცნობია. კობა ნაყოფია ქვეყნიდან გავიდა 7 აგვისტოს, ქვეყანაში შემოსვლის თარიღი კი მითითებული არ არის. დეპუტატი ირაკლი ქავთარაძე ქვეყნიდან გავიდა 8 აგვისტოს, შემოსვლის თარიღი უცნობია. დიმიტრი გვინდაძე ქვეყნიდან გავიდა 8 აგვისტოს და დაბრუნდა 10 აგვისტოს. ალექსანდრე ხეთაგური ქვეყნიდან გავიდა 8 აგვისტოს წითელი ხიდის გავლით, შემოსვლის თარიღი სიაში არ არის მითითებული. კანდიდ კვიციანი ქვეყნიდან გავიდა 7 აგვისტოს, 11 აგვისტოს კი დაბრუნდა. კობა სუბელიანი საქართველოში დაბრუნდა 10 აგვისტოს. ნიკოლოზ რურუა ქვეყანაში შემოვიდა 10 აგვისტოს, წითელი ხიდის გავლით. გიორგი მელაძე ასევე საქართველოში შემოვიდა 9 აგვისტოს. მარიკა ვერულაშვილი ქვეყანაში დაბრუნდა 7 აგვისტოს. დილარ ხაბულიანი ქვეყნიდან 8 აგვისტოს გავიდა, შემოსვლის თარიღი კი მითითებული არ არის. გიგი წერეთელი 7 აგვისტოს გავიდა ქვეყნიდან, 9 აგვისტოს კი დაბრუნდა. სიაში ორი გიორგი თარგამაძეა მითითებული. მათ სხვადასხვა პირადი ნომერი აქვთ. გიორგი თარგამაძე პირადი ნომრით 01005002431 ქვეყანაში შემოვიდა 10 აგვისტოს, ხოლო მეორე გიორგი თარგამაძე პირადი ნომრით 01024011110 ქვეყნიდან გავიდა 7 აგვისტოს და დაბრუნდა 8 აგვისტოს.

ეს სია ახალი ნამდვილად არ არის. ეს სია, როგორც უკვე ვთქვით, დავითაიამ 2008 წელს გამოაქვეყნა.

უმრავლესობის წევრის ნუკრი ქანთარიას თქმით, 2008 წლის აგვისტოს ქვეყნიდან წასულთა თემა გოგა ხაჩიძემ „გააშარჟა“. ქანთარიას ინფორმაციით, იმ დროს ხიდზე საკმაოდ დიდი მოძრაობა და პანიკა შეინიშნებოდა.

– გოგა ხაჩიძემ ეს თემა ძალიან გააშარჟა და დაიწყო დიდი ბაქა-ბუქი. ყველამ ვიცოდით, რომ წითელ ხიდზე იდგა რიგები და მანქანები სამთავრობო ნიშნებით. არ ვიცი, თვითონ გადიოდნენ თუ ოჯახები გაჰყავდათ, მაგრამ ფაქტია, რომ ხიდზე საკმაოდ დიდი მოძრაობა და პანიკა შეინიშნებოდა. ახლა „ნაციონალური მოძრაობა“ ალბათ დაიწყებს მტკიცებას, რომ ისინი არ იყვნენ და დოკუმენტებში მათი მოგვარეები წერიან. იმდენი რამ აქვთ გაკეთებული, რომ რასაც იძახიან, ათი იმდენი ზედაპირზე ამოდის, – განაცხადა ქანთარიამ „რეპორტიორის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე.

# სატელეფონო მოსმენები ისევ გრძელდება?!

## პარლამენტის თბილისში გადმოტანა პოლიტიკურ ცხოვრებას გააიოლებს

ნათია ხურცილავა



კამპანია „ეს შენ გეხება“, როგორც ჩანს, ახალი ხელისუფლების პირობებშიც აქტუალურია და ის ძალას იკრებს. გვისმენენ თუ არა? ეს არის საკითხი, რომელიც ყველაზე დიდი ინტერესის საგანი შეიძლება იყოს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის.

კამპანია „ეს შენ გეხება“-ს წევრები გუშინ პრეზიდენტის ინიციატივით გიორგი მარგველაშვილთან მივიდნენ შეხვედრაზე. შეხვედრაზე მისულებმა პრეზიდენტს „ეს შენ გეხება“ – ლოგოთი მაისური გადასცეს.

შეხვედრა არასამთავრობო სექტორთან პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენციაში გაიმართა. საუბრის მთავარი თემა უკანონო მოსმენები და თვალთვალი იყო, რომელიც, არასამთავრობო სექტორის ზოგიერთი წარმომადგენლის მონაცემებით, ამ დრომდე გრძელდება.

კამპანიაში „ეს შენ გეხება“ მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციებია: „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“, „კონსტიტუციის 42 მუხლი“, ფონდი – „ღია საზოგადოება საქართველო“, „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“, „ლიბერალური აკადემია თბილისი“, „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ და კოალიცია „სამოქალაქო განვითარებისთვის“.

შეხვედრის დაწყებამდე კომენტარები არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს არ გაუკეთებიათ, თუმცა, როგორც მათ მოგვიანებით ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადეს, გიორგი მარგველაშვილთან კამპანიის შესახებ დეტალურად ისაუბრეს.

როგორც ცნობილია, არასამთავრობოებმა კვლევის შედეგები გამოაქვეყნეს. გაირკვა, რომ გამოკითხული 2.000 ადამიანიდან 63% პირად საკითხებზე ტელეფონით არ საუბრობს, 69% კი პოლიტიკურ საკითხებზე ტელეფონით საუბარს ერიდება, რადგან მათ ჰგონიათ, რომ კვლავ უსმენენ.

გიორგი მარგველაშვილი საქართველოს პრეზიდენტი:

– დეტალურად გავეცანი არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების პოზიციას იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის გამოც მათ ეს მოძრაობა წამოიწყეს. ჩვენ რამდენიმე საკითხზე შევთანხმდით. უპირველესად, გასათვალისწინებელია ორი რამ – სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას წესრიგი და ადამიანის თავისუფლებისა და ყოველი ინდივიდის უფლებათა გარანტია. ამ ორ საკითხს შორის ბალანსი არის ის სახელმწიფოებრივი ბალანსი, რომელიც აუცილებლად უნდა გამოიხატოს კანონით. ეს იყო ღირებულებითი ნაწილი. ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ ბალანსის მიღწევა მხოლოდ დიალოგის შედეგად არის შესაძლებელი და მოვუწოდებ ყველა მხარეს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ დიალოგში. ბუნებრივია, ამ პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია შენარჩუნებული იყოს ის სულისკვეთება, რომელიც ბოლო საპარლამენტო არჩევნებმა მოიტანა. 2012 წლის 1 ოქტომბერს აღდგა ნდობა ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის და მთავრობა აღარ აღიქმება ადამიანის უფლებათა დამრღვევად. მჯერა, რომ ყველა მონაწილე მხარე აქტიურად ჩაებმება დიალოგში და საბოლოოდ სწორედ ევროპული სტანდარტების შესაბამის კანონს მივიღებთ. ის პოვნაში. ეს არის ბალანსი სახელმწიფოს ვალდებულებასა და ადამიანის თავისუფლებას შორის. ჩვენ შევთანხმდით, რომ ეს აქტიური დიალოგის შედეგად უნდა შედგეს. ყველა მხარეს მოვუწოდებ, რომ აქტიურად ჩაერთოს ამ დიალოგში. ბუნებრივია, ამ პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ შენარჩუნებული იყოს ის სულისკვეთება, რომელიც პირველმა ოქტომბერმა მოიტანა. სწორედ 2012 წლის 1 ოქტომბერს აღდგა ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ეს ნდობა. ამ გამარჯვების შემდეგ ხელისუფლება აღარ იყო აღქმული, როგორც ადამიანის უფლებების დამრღვევი, პირიქით, გარანტორია. აქცენტი გაკეთდა, რომ ხელისუფლებამ მართლწესრიგი უნდა დაიცვას. თუმცა, ამავე დროს დაიცვას ადამიანის უფლებები. ამ სულისკვეთებით საბოლოო ჯამში სწორედ ევროპული სტანდარტების კანონს მივიღებთ.

როგორც აღვნიშნეთ, შეხვედრა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გაიმართა და ეს იყო პირველი ოფიციალური შეხვედრა, სამუშაო გარემო, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გიორგი მარგველაშვილმა გამართა პრეზიდენტის რეზიდენციაში.

გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტებს ამ საკითხზე ყურადღების გამახვილების შემდეგ განუცხადა, რომ პრეზიდენტის ავლაბრის რეზიდენცია მომავალშიც იქნება გამოყენებული იმ მიზნით, რომლითაც დღეს ქვეყნის პირველმა პირმა გამოიყენა.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან შეხვედრის გარდა, პრეზიდენტმა ავლაბრის რეზიდენციაში სხვა შეხვედრაც გამართა. მან იქ დიპლომატებს უმასპინძლა.

– დღევანდელ შეხვედრებს რაც შეეხება, 7 ელჩის სიგელების მიღება, ბუნებრივია, ვერ განხორციელდებოდა იმ 2 ოთახში, რომელშიც მე ამდენი ხნის განმავლობაში ადმინისტრაციაში ვიმყოფები. ასეთი ტიპის სამუშაო შეხვედრები და სხვა ტიპის შეხვედრებიც გაიმართება ხოლმე იმ ადგილას, რომელიც ამისთვის თავიდანვე იყო განკუთვნილი. შემიძლია ისიც ვთქვა, რომ თავიდან ბევრად უფრო იოლი მეგონა, რომ მოხერხდებოდა ამ ტიპის ცერემონიალური საკითხების განხორციელება იმ სივრცეში, სადაც ვარ, მაგრამ ეს ასე არ არის. შესაბამისად, ჩვენ გამოვიყენეთ და მომავალშიც გამოვიყენებთ ამ სივრცეს იმ დანიშნულებისთვის, რომელიც დაგვჭირდება, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ჟურნალისტების კითხვაზე – განიხილება თუ არა პრეზიდენტის მუდმივად გადმოსვლის საკითხი ავლაბრის რეზიდენციაში? გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა, რომ „მუდმივად 7 ელჩის მიღება არ ხდება“.

– ამ სივრცეს გამოვიყენებთ, როგორც ცენტრალურს, – ამბობს მარგველაშვილი.

რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის პოზიციას პარლამენტის თბილისში გადმოტანასთან დაკავშირებით, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი დეპუტატებს მოუწოდებს, პარლამენტს მისცენ შესაძლებლობა, დედაქალაქში იფუნქციონიროს.

ქვეყნის პირველ პირს მიაჩნია, რომ თბილისში პარლამენტის გადმოტანა პოლიტიკურ ცხოვრებას ბევრად გააიოლებს.

– მე მიმაჩნია, რომ თბილისში პარლამენტის გადმოტანა ბევრად გააიოლებს პოლიტიკურ ცხოვრებას. ბევრი საკითხი, რომელიც კანონის მიღებას, მთავრობასთან აქტიურ კონსულტაციებს უკავშირდება, ბევრად უფრო იოლად განხორციელდება თბილისში, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა კამპანია „ეს შენ გეხება“-სთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დააფიქსირა. უსუფაშვილი ამბობს, რომ ის საყოველთაო განცდა, რომ ყველას გვისმენდნენ, წლების განმავლობაში შეიქმნა.

– წლების განმავლობაში შეძენილი უნარ-ჩვევები ვერ ქრება ორ-სამ თვეში, მით უმეტეს, ასეთ სენსიტიურ საკითხებზე. ამიტომ, მესმის ჩვენი თანამოქალაქეების, რომლებიც ძველი პერიოდის გავლენის ქვეშ არიან,

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# დააკავებენ თუ არა როლანდ ახალაიას

შორენა გონგლაძე



**მთავარმა პროკურატურამ დეპუტატ როლანდ ახალაიას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისა და ბრალდებისათვის თანხმობის მისაღებად პარლამენტს მიმართა. ამის შესახებ პროკურორმა ნათია მეზვრიშვილმა განაცხადა. მეზვრიშვილის განცხადებით, საქმე ეხება როლანდ ახალაიას სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორად მუშაობის პერიოდში მის მიერ ჩადენილ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებს.**

– საქართველოს მთავარმა პროკურატურამ 2014 წლის 14 მარტს წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს პარლამენტის წევრის როლანდ ახალაიას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისა და ბრალდებისათვის თანხმობის მისაღებად. საქმე ეხება როლანდ ახალაიას სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორად მუშაობის პერიოდში მის მიერ ჩადენილი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებს. კერძოდ, პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ 2009 წლის დეკემბერში, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორი როლანდ ახალაია, რომელიც მოქმედებდა პირადი დაინტერესებით, რაც აშკარად სცილდებოდა მისი, როგორც საოლქო პროკურორის სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებს, შეხვდა მოქალაქე მარინა ესებუას, რომელსაც მის მეუღლესთან, მსჯავრდებულ კახაბერ ლატარიასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ უკანონოდ მოსთხოვა, თითქოსდა ქველმოქმედების მიზნით, არარსებული „ანაკლიის განვითარების ფონდის“ ანგარიშზე ჩაერიცხა 150 000 ლარი, რისთვისაც გადასცა საბანკო რეკვიზიტები, რომელიც რეალურად როლანდ ახალაიას ახლობელი ბიზნესმენის სერიოჟა გვარამიას კუთვნილ კერძო კომპანია „სანის“ საბანკო ანგარიშის რეკვიზიტებს წარმოადგენდა. მარინა ესებუა იძულებული იყო დათანხმებულიყო შემოთავაზებულ პირობას. მან მეორე დღეს, საპროცესო შეთანხმების სანაცვლოდ, 150 000 ლარი შეიტანა როლანდ ახალაიას მიერ მითითებულ შპს ,,სანის“ საბანკო ანგარიშზე, რომელიც სრულად იქნა გახარჯული ხსენებული ფირმის კომერციული მიზნებისათვის. ანალოგიური ხერხით, 2009 წლის დეკემბერში როლანდ ახალაიამ, ალექსანდრე ტყებუჩავას, ზურაბ ხარგელიას და დავით კაჭკაჭიშვილის ბრალდების საქმეზე, ბრალდებულების ოჯახის წევრებს უკანონოდ მოსთხოვა, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ 60 000 ლარი შეეტანათ კვლავ მისი ახლობელი ბიზნესმენის სერიოჟა გვარამიას ფირმის შპს „სანის“ ანგარიშზე. ბრალდებულებთან დაახლოებულმა პირმა აღნიშნული თანხა 2009 წლის 25 დეკემბერს ჩარიცხა, რომელიც სრულად იქნა გახარჯული ხსენებული ფირმის კომერციული მიზნებისათვის. როლანდ ახალაიას მიერ ჩადენილი ქმედება კვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით და მას ბრალდება ამ მუხლის შესაბამისად უნდა წარედგინოს, – განაცხადა მეზვრიშვილმა.

მისივე განცხადებით, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ საქართველოს კანონი და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი არ ითვალისწინებს თანხმობის მიცემის საჭიროებას საქართველოს პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხდება პარლამენტის წევრის დაკავება ან დაპატიმრება.

– მიუხედავად ამისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 169-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრის ბრალდებისათვის აუცილებელია საქართველოს პარლამენტის თანხმობა, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, თუ საქართველოს პარლამენტმა თანხმობა არ მისცა საქართველოს პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე. აქედან გამომდინარე, მთავარმა პროკურატურამ პროცესუალური ნორმების დაცვით წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, პარლამენტის წევრის როლანდ ახალაიას მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისა და ბრალდებისათვის თანხმობის მისაღებად. პროკურატურა დაელოდება საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას და თანხმობის მიღების შემთხვევაში, როლანდ ახალაიას მიმართ დაიწყებს სისხლის სამართლებრივ დევნას, – განაცხადა პროკურორმა.

როლანდ ახალაიას საკითხი პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა ხუთი დღის ვადაში უნდა შეისწავლოს და პარლამენტს წარუდგინოს. პარლამენტის წევრის დაკავება, დაპატიმრება, მისი ბინის, მანქანის, სამუშაო ადგილის ან პირადი გაჩხრეკა მხოლოდ პარლამენტის თანხმობით შეიძლება.

ამასთან დაკავშირებით პარლამენტის რეგლამენტი და „პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ კანონი ადგენს – საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარების შესახებ წინადადება პარლამენტში მთავარ პროკურორს შეაქვს. ამ წინადადების საფუძვლიანობას ხუთი დღის ვადაში შეისწავლის და განიხილავს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი, რომელიც წერილობით დასკვნას წარუდგენს პარლამენტის ბიუროს. პარლამენტის ბიურო საკითხს განსახილველად სვამს პარლამენტის უახლოეს პლენარულ სხდომაზე. პლენარულ სხდომაზე საკითხის განხილვის შემდეგ გადაწყვეტილება დადგენილებით მიიღება.

პარლამენტის წევრის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა შეუძლია მხოლოდ საქართველოს მთავარ პროკურორს, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს პარლამენტს.

ამასთან, პარლამენტის წევრის დაკავებაზე ან დაპატიმრებაზე პარლამენტის მიერ თანხმობის მიცემის შემთხვევაში, პარლამენტის დაკავებულ ან დაპატიმრებულ წევრს პარლამენტის დადგენილებით შეუჩერდება უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილების ან სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.

მარეაბილიტირებელი საფუძვლით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში, პარლამენტი დეპუტატს დადგენილებით აღუდგენს უფლებამოსილებას. ასეთ შემთხვევაში მას მიეცემა სრული კომპენსაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი როლანდ ახალაია მისთვის ბრალის წაყენების მცდელობას პროვოკაციად აფასებს და აცხადებს, რომ არანაირ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია.

– ეს არის ზუგდიდის საგამოძიებო სამსახურის უფროსის მიერ მოწყობილი პროვოკაცია, რომელიც არის ფარცხალაძის განუყოფელი მეგობარი. სინამდვილეში არანაირ დანაშაულს ადგილი არ ჰქონია. ეს თანხა დევს იქ – საპატრიარქოსთვის განკუთვნილი. განმუხურში უნდა გაშენებულიყო მეგრული ოდა პატრიარქის დასასვენებლად. მიწა მოვნიშნეთ, ჩასულები ვიყავით, მაგრამ შემდეგ მიწის გამოყოფაც ვერ მოხერხდა გარკვეული მიზეზების გამო. ამაზე თუ არის ბრალდებაში საუბარი, მე ჯერ არ მინახავს, – განაცხადა როლანდ ახალაიამ.

**გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში**
**გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში**

ნარჩუნდება და უპერიოდო, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, ხოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიური. დადგენილ საჭირო წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:**
სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია. ქ-ნი ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ნიკოლოზ მჟავანაძე: უგულავას ბიუჯეტიდან მოპარული ფული უკან უნდა მოვატანინოთ“

შორენა კოწოწაშვილი



რა ფინანსური დარღვევები აღმოაჩინა თბილისის მერიაში საკრებულოს სარევიზიო კომისიამ, რა რაოდენობის პრემიები გაიცემოდა უგულავასა და მის მოადგილეებზე და რატომ დააფინანსა ასე სოლიდურად მერიამ კორპუსების „ასინეთების“ ინსტიტუტი? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძესთან.

***— ბატონო ნიკოლოზ, რას იტყვით იმ ხმაურიან დაპირისპირებაზე, რასაც დედაქალაქის მერიასა და საკრებულოს შორის აქვს ადგილი? სამართლიანად სდებს ბრალს საკრებულოს უმრავლესობა უგულავასა და მის გუნდს საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივ ხარჯვაში?***

— დიახ, რა თქმა უნდა. გეთანხმებით, მართლაც მთელი აურზაურია ატეხილი დედაქალაქის საკრებულოს სარევიზიო კომისიის მიერ თბილისის მერიის, აგრეთვე მერიის შესაბამისი სტრუქტურების — გამგეობების, ადმინისტრაციის შემოწმების აქტების გამო, სადაც გამოვლენილ იქნა ის დარღვევები, რომლებსაც ადგილი აქვს, გამგეობების, მერიისა და მერიის ადმინისტრაციის მუშაობის პერიოდში. არ გამოვრიცხავ, საქმე იქამდეც მივიდეს, რომ ამ კონკრეტულ დარღვევებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეები აღიძრას, იმიტომ რომ თანხები, რომლებიც ჩვენი ჯიბეებიდან მიდიოდა თბილისის ბიუჯეტში, არამიზნობრივად იხარჯებოდა. როდესაც საკრებულოს თავმჯდომარე შიხიაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა, მე მას ვუთხარი, რომ ეს ყველა ფაქტი, რომელიც დღეს ხელთ მაქვს, საზოგადოებამ უნდა იცოდეს. მხოლოდ განცხადებების დონეზე საუბარი, რომ მერია საბიუჯეტო თანხების გადახარჯვას ახდენს და არამიზნობრივად განკარგავს, საკმარისი არ არის. საჭიროა, ყველა განცხადება და ბრალდება დოკუმენტების დონეზე იქნეს დადასტურებული. თბილისელებმა უნდა იცოდნენ, რა კონკრეტულ დარღვევებზეა საუბარი. ჩვენ დედაქალაქის საკრებულოდან გამოვითხოვეთ ინფორმაცია სარევიზიო კომისიის მიერ ჩატარებული შემოწმების შესახებ, რომელიც მერიის ადმინისტრაციის საფინანსო საქმიანობას ეხება 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 ივლისამდე პერიოდში. აღმოჩნდა შემდეგი სახის დარღვევა-ნაკლოვანებები: კერძოდ, თბილისის მერიის ადმინისტრაციის 2011 წლის 7 ნოემბრის წერილით თბილისის მერიის საფინანსო-საქალაქო სამსახურს წარედგინა ადმინისტრაციისათვის 2012 წლის ბიუჯეტის განაცხადი, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციის აპარატის დაფინანსებისთვის მოთხოვნილია 15 437 900 ლარი. აქედან თანამდებობრივი სარგოსთვის მოთხოვნილია 2 800 000 ლარი, რაც გათვლილია 204 საშტატო ერთეულზე. ყოველთვიური 227 700 ლარი ხელფასის ფონდიდან. თბილისის საკრებულოს ფონდიდან მოთხოვნილია წლიური სახელფასო ფონდი 4 582 110 ლარზე, მაგრამ გაურკვეველია, თუ რა საფუძველს ემყარება პრემიის თანხის მოთხოვნა, რადგან წარმოდგენილ პროექტს არანაირი გაანგარიშება არ ერთვის. ამასთან ერთად, წლიური საპრემიო ფონდი მოთხოვნილია წინასწარ. მაგალითად, ადმინისტრაციის ასიგნებიდან დარიცხული პრემიები სულ არის 6 150 706 ლარი, რაც ადმინისტრაციაზე დარიცხული ხელფასის 230%-ს შეადგენს. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ თუ ხელფასის დარიცხვა წარმოებდა მხოლოდ ადმინისტრაციის თანამშრომლებზე, პრემიების დარიცხვაში ზოგიერთ შემთხვევაში ჩართულია მერიის სისტემის საჯარო მოსამსახურეები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის თერთმეტ თვეში თუ გაცემული პრემიები დარიცხული ხელფასით 119%-ს შეადგენდა, დეკემბერში დარიცხულმა და გაცემულმა პრემიამ შეადგინა ხელფასის 1400%-ს. როგორც ანალიზიდან ირკვევა, ადმინისტრაციის ხელფასის დარიცხვა-გაცემის დროს, ფაქტობრივად, ადგილი აქვს ნათელმხილველობას, წინასწარმეტყველების ფაქტებს.

***— წინასწარმეტყველება რით გამოიხატება?***

— პრემიების წესის მეორე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, პრემიების კონკრეტული ოდენობა განისაზღვრება მუშაობის შედეგში შეტანილი თითოეული მოსამსახურის პირადი წვლილის ზეგანაკვეთური მუშაობის განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით. აღნიშნული წესის საფუძველზე გამოცემულია თბილისის მერიის 2012 წლის 28 იანვრის განკარგულება, რითაც დაევალა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურს, უზრუნველეყო თბილისის მერზე, მოადგილეზე, ვიცემერზე, საქალაქო სამსახურების უფროსებსა და მათ მოადგილეებზე, აგრეთვე ადმინისტრაციის უფროსსა და მოადგილეებზე ყოველი თვის ბოლო კვირაში პრემიის გაცემა მერიის ადმინისტრაციის ხარჯებიდან. გაურკვეველია ის გარემოება, თუ როგორ შეიძლება წინასწარ განსაზღვრო მომავალ თვეებში მუშაობის შედეგში, რა პირადი წვლილი შეიტანა კონკრეტულმა მოსამსახურემ; რა ზეგანაკვეთური მუშაობა შეასრულა და რა განსაკუთრებული საპასუხისმგებლო ფუნქციებით იყო დატვირთული. წინასწარ წერდნენ ეს ადამიანები იანვარში, თებერვალ-მარტში პრემია ვის უნდა მიეღო. ამ დროს შეიძლება ადამიანმა ცუდად იმუშავა, ან საერთოდაც ვერ იმუშავა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო.

***— იმაზე მიანიშნებთ, რომ სამართლიანად იბარებდნენ მერიის სამსახურების თანამშრომლებს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო ორგანოები და არა პოლიტიკური მოტივებით, რაზეც ნაციონალები აპელირებდნენ?***

— ეს დაბარება იყო აბსოლუტურად კანონიერი. არა მხოლოდ დაბარება უნდა მოხდეს, სამწუხაროდ, ჩვენთან დაკითხვა სასჯელის სახედ აღიქმება ვიღაც-ვიაღაცებში. გამოდიან და ამბობენ: დაიბარეს ამდენი ადამიანი. მერე რა, დაკითხვა იმას არ ნიშნავს, რომ რეალურად სასჯელი ეკისრება ამ ადამიანს. დაბარებას აპროტესტებენ, მაგრამ იმაზე ხმას არ იღებენ, ამხელა პრემიებს რომ იღებდნენ ამდენი ხნის მანძილზე. მე იმას არ ვამბობ, რომ პრემია არ უნდა გაიცეს. პრემია უნდა გაიცეს, მაგრამ, თუ კანონი გავალდებულებს, რომ ზეგანაკვეთურ მუშაობაზე და განსაკუთრებული წვლილისთვის უნდა გაიცეს, რატომ ამ წესს არ იცავენ, თანაც ვიცით, რამდენი ადამიანია სოციალურად დაუცველი და მათ სახელმწიფო სათანადოდ ვერ ეხმარება. ამ ფონზე ამხელა პრემიების გაცემა კანონის დარღვევაა. გაკეთდა ჩანაწერი, რომ პრემიების მაქსიმალური ოდენობა არ იზღუდება. მანამდე ეს ჩანაწერი არ იყო და ამან მისცა საშუალება, რამხელაც უნდოდათ, იმხელა პრემია დაენიშნათ.

***— ეს ყველაფერი ხდება კოალიციური ხელისუფლების მოსვლის შემდგომ?***

— დიახ. ბევრი ამბობს, როგორ ბედავდნენ ხელისუფლების შეცვლის შემდგომ ამდენის გაკეთებას. იმიტომ ბედავდნენ, რომ ის ხალხი, ვინც სამსახურები დაკარგა, ნაცმოძრაობის ელიტას ვგულისხმობ, მინისტრები, მათი მოადგილეები, მათი ოჯახის წევრები, დარჩნენ უმუშევრები. ისინი სადღაც ხომ უნდა დაესაქმებინათ. ეს ხალხი მერიის თანამშრომლებად გააფორმეს და ფულს უხდიდნენ პრემიების სახით. ამიტომ არის, რომ ის ვინც აქამდე წინა ხელისუფლება კბილებით იცავდა, დღეს ორმაგად იცავს, იმიტომ რომ დღეს ორმაგი შემოსავალი გააჩნია და ნაკლები პასუხისმგებლობა. დღეს რომ ამბობენ, აი, როგორი ერთგული არიან ნაციონალები, ერთგულები კი არ არიან, უბრალოდ, მათ პირობები არ გაუარესებიათ. დამიჯერეთ, ესენი დღეს ფინანსურად ბევრად უკეთეს მდგომარეობაში არიან და პასუხისმგებლობაც ნაკლები აქვთ. ბუნებრივია, ამ პირობებში ნაცმოძრაობის ინტერესებს დაიცავენ. მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭოები შეიქმნა მერიის მიერ დაფუძნებულ სიებში, „სინათლის ქალაქი“, „ჰერმესი“, სადაც ამ საბჭოების შექმნა საჭირო არ იყო. იმიტომ შექმნეს ამათ ეს სამეთვალყურეო საბჭოები, რომ სამინისტროებსა და ხელისუფლების მაღალ ეშელონებში დასაქმებული ხალხი გადანაწილდა. ეს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული შპს-ები შემოსავალს იღებენ. ამ ორგანიზაციებს დამატებით აჰკიდეს ყოფილი ჩინოვნიკების რჩენა. მოქალაქეების მიერ გადახდილი ფული კი ისევ ნაციონალების ჯიბეებში მიდის. ვიმეორებ, ამის არანაირი საჭიროება არ იყო. პრემიებთან დაკავშირებულმა ზემოაღნიშნულმა ჩანაწერმა საშუალება მისცა, პრემიების დარიცხვა განხორციელებულიყო განუსაზღვრელი ოდენობით. დედაქალაქის მერის განკარგულებით, დეკემბერში დარიცხული და გაცემული პრემიები მერზე, მერის მოადგილეებზე, ვიცემერებზე, საქალაქო სამსახურების უფროსებზე და ა.შ. სულ 78 ერთეულზე შეადგენს 704 397 ლარს, რაც მათი თანამდებობრივი სარგოს 500-600%-ს შეადგენს. მერის მოადგილეს ორ თვეში დარიცხული აქვს დაახლოებით 18 682 ლარი დანამატის სახით და პრემიის სახით 16 800 ლარი. სულ 50016 ლარი, რაც თანამდებობრივი სარგოს 395%-ს შეადგენს.

***— როცა თანხების არამიზნობრივ ხარჯვაზეა საუბარი, არაერთი პოლიტიკოსის მხრიდან გაკეთდა განცხადება, რომ ხდებოდა ფულის გათეთრება მანქანების ტექმომსახურებაზე, დასუფთავების სამსახურზე და ა.შ. რა გამოკვეთა სარევიზიო სამსახურის დასკვნამ?***

— რაც შეეხება მანქანებს, კონკრეტულ ციფრებს იმიტომ ვამბობ, რომ საზოგადოებამ გაიგოს, რა კონკრეტული ფაქტები არსებობს და რომ მხოლოდ სიტყვების რახარუხი არ მიდის. როცა მე რაიმე განცხადებას ვაკეთებ, ყოველთვის მტკიცებულება მაქვს და ფაქტები. ჩემთვის ძალიან შეურაცხმყოფელია, როდესაც მერიის თანამშრომელთა მხრიდან ხდება ისეთი განცხადებების გაკეთება, როგორიცაა ჩვენ თბილისი სინათლის ქალაქად ვაქციეთ, გზები გავაკეთეთ და ა.შ. მათ ავიწყდებათ, რომ ეს თითოეული მოქალაქის მიერ გადახდილი ფულით გააკეთეს, ისიც თქვან, ერთი იმდენი ფული სად წავიდა. იმაზეც ისაუბრონ, ერთი წელიც რომ ვერ ძლებს მათ მიერ დაგებული გზები. გეტყვით კიდევ ფულის არამიზნობრივად ხარჯვის კონკრეტულ მაგალითს: თბილისის მერიის ადმინისტრაციის უფროსის 2011 წლის 22 დეკემბრის და 2012 წლის 5 იანვრის №21 განკარგულებით, დედაქალაქის მერი და მერიის აპარატის თანაშემწე ნიკოლოზ ინასარიძე 3 იანვრიდან 10 იანვრის ჩათვლით მივლინებულ იქნენ ქალაქ ლას ვეგასში სამუშაო ვიზიტით. მივლინების საკასო ხარჯმა შეადგინა 22 209 ლარი. ამავე დროს, მამუკა ქაცარავა მივლინებულ იქნა ლას ვეგასში ქალთა მშვილდოსნობის მსოფლიო ჩემპიონატზე დასწრების მიზნით. მივლინების საკასო ხარჯმა შეადგინა 8050 ლარი. აღსანიშნავია, რომ მერიის მიერ სარევიზიო კომისიისთვის წარდგენილ მასალებში არსად არის მოხსენიებული თბილისსა და ლას ვეგასს შორის ურთიერთობების შესახებ. არც სამომავლოდ განხორციელებულ ურთიერთობებზეა რაიმე ნათქვამი ამ ორ ქალაქს შორის. არ არის წარმოდგენილი ამ მივლინების ანგარიში. საკრებულოს სარევიზიო დასკვნაში ნათქვამია, რომ ჯერჯერობით გაურკვეველია ამ „საქმიანი“ ვიზიტის არსი და შედეგი. ეტყობა, ბიჭებმა ლას ვეგასში კაზინოებში იგრიალეს და ეს ფული დახარჯეს და მერე ჩვენ აქ რაღაცებზე გველაპარაკებიან. ჩვენ ვიხდით გადასახადებს და ჩვენი ფულით დადიან იგივე მერიის მაღალჩინოსნები უცხოეთში. ამიტომ, უნდა ვიცოდეთ, რაში რა თანხა იხარჯება. ხშირად არის ხმაური კოორდინატორებთან დაკავშირებით. საკმაოდ სერიოზული თანხები იხარჯებოდა მათ შეკრებებზე, განსაკუთრებით საარჩევნო პერიოდში. ჩვენ ეჭვი გვაქვს, რომ ეს კოორდინატორები მრავალსართულიანი სახლების მობინადრეთა პრობლემებზე კი არ მსჯელობდნენ, არამედ ძირითადად ნაციონალების პარტიული აქტივი იყო. მათზე ძვირადღირებული ა ლა ფურშეტებია გაწერილი. გადახარჯვებია აგრეთვე საბიუჯეტო თანხების მიზნობრივად განკარგვაში მანქანების შეძენისა და შეკეთების კუთხითაც.

***— ძვირადღირებული მანქანების შეძენაზეც დიდი ფული მოიხსნა?***

— მაგალითად, 2012 წელს „კია მოტორს ჯორჯიადან“ შეძენილ იქნა 15 მანქანა და გაწეულია 502 458 ლარის საკასო ხარჯი. აქედან 142 039 ლარი — ავანსის სახით. სამივე გაფორმებული ხელშეკრულებით სამივე ჩასანაცვლებელი ავტომანქანების მიმწოდებლისათვის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი თავისი ავტომანქანის ღირებულებასთან დაკავშირებით აუდიტორის დასკვნები. ამასთან, ადმინისტრაციასა და „კია მოტორსს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ადმინისტრაციის მიერ ამავე წელს შეძენილი 7 მანქანა 186 048 ლარის ღირებულების, სულ ხელშეკრულება გაფორმებულია 328 087 ლარის 13 მანქანის შეძენაზე. გაურკვეველია, მაგალითად. თბილისის მერიის მიერ გაწეული ხარჯები გლდანის საცურაო აუზის კაპიტალის გაზრდის მიზნით. არ არის მითითებული, თუ რა ხარჯების გაწევის მიზნით ხორციელდება შპს-ს კაპიტალის გაზრდა.

***— დიდუბე-ჩუღურეთის გამგეობა იქნა შესწავლილი სარევიზიო კომისიის მიერ...***

— ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობაზე დახარჯულია 1 379 885 ლარი. აღნიშნული საკითხების შესწავლისას ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ხელშეკრულებები გამგეობასა და ამხანაგობებს შორის გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების კანონის გვერდის ავლით. კიდევ ერთი რამ მინდა ვთქვა, რეალურად ეს ამხანაგობები, რომლებიც იქნა შექმნილი თბილისის მერიის მხრიდან, ზუსტად მათ მიერ ხდებოდა, ხშირ შემთხვევაში, ვის უწერდა მხარს ესა თუ ის კონკრეტული პირი არჩევნებში. ხომ გახსოვთ ის ჟურნალები, ნაგავსაყრელზე რომ იქნა აღმოჩენილი. ხდებოდა დაფიქსირება, რომელი მოქალაქე იყო აქტიური, რომელი — პასიური. ამ ხალხს ორი სახის დატვირთვა ჰქონდათ: ერთი — ესენი იყვნენ პარტიული აქტივები. ფაქტობრივად, ესენი იყვნენ ოდეერები დიდ კორპუსებში. მათ ზეპირად იცოდნენ, თავიანთ კორპუსში ვინ რითი სუნთქავდა. ეს ინფორმაცია გროვდებოდა და უშიშროების სამსახურში მიდიოდა. ეს კიდევ ცალკე საუბრის თემაა. ჩვენთან რომ იყოს კიდევ სამართლებრივი ქვეყანა, მე არავის ციხეში ჩასმა და ციხეების გავსება კი არ მინდა, არამედ მიმაჩნია, რომ პასუხი ამ ხალხსაც უნდა მოეკითხოს. არ შეიძლება, 200-300 ლარის გამო შენი მეზობელი „ჩაუშვა“ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო. უგულავა, ფაქტობრივად, ასინეთების ინსტიტუტის შექმნას ლობირებდა. ესენი იყვნენ ასინეთები, რომლებიც მიყურადებული იყვნენ თითოეული ოჯახის კარზე. სიმართლე გითხრათ, მე პირადად ვგრძნობდი ამ „ასინეთების“ ინსტიტუტის ინტერესს ჩემ მიმართ. გვარების დასახელება არ მინდა ახლა, რადგან არ მინდა, ვინმე უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო.

***— უგულავა აცხადებს, რომ პროკურატურას უჭირს მისთვის კონკრეტული ბრალის დამტკიცება და რომ არ არსებობს მისი მხრიდან დანაშაულის ნიშნები. შეგიძლიათ თქვათ, რომ საკრებულოს სარევიზიო კომისიის ეს დასკვნა ადასტურებს დედაქალაქის მერის პასუხისმგებლობას და მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნებს გამოკვეთს?***

— ეს მასალები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ უგულავას პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს და არა მარტო, მისი. უკაცრავად, მაგრამ ზოგიერთს ახლა რომ გაახსენდა ლეიკემიით დაავადებული ბავშვები და პოლიტიკურ თოქ-შოუშიც გამოიყვანა პიარისთვის, ის ადამიანები მანამდე საკრებულოს წევრები რომ იყვნენ, რატომ მაშინ არ აკეთებდნენ მსგავს პიარს?! ეს ფულები რომ არამიზნობრივდ იხარჯებოდა, რატომ თავის დროზე არ ატეხეს ხმაური, აქამდე ხომ არაერთ მსგავს გაჭირვებულ ბავშვს გაეწეოდა დახმარება?! 760%-ით მეტი პრემიები მიდიოდა თბილისის მერიის მაღალჩინოსანთა ჯიბეებში, პლუს მივლინებები და ხელფასები. ეს დასკვნა არა მარტო გიგი უგულავას ეყოფა დანაშაულის დასამტკიცებლად, არამედ თბილისის მთელ მერიას. ვფიქრობ, ის აურზაური, რაც არის ატეხილი და რომ ვითომ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო ისჯებიან ნაციონალები, ეს არის არასწორი. ეს მასალები ცხადყოფს, რომ დანაშაულებრივად ხდებოდა დედაქალაქის ბიუჯეტის განკარგვა. გლდანი-ნაძალადევის გამგეობის შემოწმების აქტებში ნაჩვენებია, რომ სპორტული მოედნების კოორდინატორების წახალისებისთვის გახარჯულია 31 500 ლარი. აღსანიშნავია, რომ სპორტული მოედნების კოორდინატორებთან არ არის ხელშეკრულება გაფორმებული. შესაბამისად, კოორდინატორს რაიმე ვალდებულება არ უფიქსირდება. გამაგებინეთ, რას ნიშნავს სპორტული მოედნის კოორდინატორი. რომელ მოედანს ჰყავს კოორდინატორი? არც ერთს, ეს არსად არ ჩანს. ზემოაღნიშნული თანხაც, ალბათ, იმ პარტიულ მუშაკებზე და იმ „ასინეთებზეა“ მიწერილი, რომლებიც ნაციონალებისთვის ხმებს აგროვებდნენ. საქართველოში „ასინეთების“ სისტემა უნდა დასამარდეს. ამ ხალხმა რეალურად პასუხი უნდა აგოს. ეს არის კონკრეტული ფაქტები, ჩვენ მერიის თანამშრომლების დაბარებას კი არ ვითხოვთ საგამოძიებო ორგანოების მხრიდან, ჩვენ ვითხოვთ, პასუხი აგონ თითოეული მოქალაქის მიერ გადახდილი ფილის შეჭმისთვის. აგრეთვე იმისათვის, რაც დედაქალაქის მიმდინარე მშენებლობების თანმდევია და რაც თბილისის მწვანე ნარგავების განადგურებას ეხება. ის, რაც მათ დედაქალაქს გაუკეთეს, ეს არის სირცხვილი. ის, რომ გზა გაკეთდა და სინათლეა დღეს თბილისში, ეს არის კოსმეტიკა, შენიღბვა. იმ ფულით, რაც ამ ქვეყნისთვის უნდა გაკეთებულიყო, ესეც გაკეთდა, ეს არის მიზერი. თქვენ კარგად გახსოვთ, „ხრუშჩოვკებიც“ უნდა დაენგრიათ და ახალი კორპუსები აეშენებინათ. წყალმომარაგების სისტემას ხელშეკრულება გაუფორმეს ანუ დედაქალაქის მომარაგება ავარიული გახადეს, იმიტომ რომ წყალზე დგას დღეს მთელი თბილისი. საძირკვლები დაირეცხა და, ფაქტობრივად, დედაქალაქი ავარიული გახდა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ვინც დამნაშავეა არა მხოლოდ კორუფციულ გარიგებებში და დედაქალაქის ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვაში, ყველა უნდა დაისაჯოს. ამასთან, ყველა ოჯახს უნდა მიეწოდოს მერიის მაღალჩინოსანთა მხრიდან საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივი ხარჯების შესახებ ინფორმაცია ბუკლეტების სახით. როგორც მოგვდიოდა სახლებში „სინათლის ქალაქის“ ბუკლეტები, ახლა უნდა გაკეთდეს იმავე სახის ბუკლეტები იმაზე, თუ რაში გახარჯა თბილისის მერიამ ამხელა თანხები. კეთილი ინებოს საკრებულომ, დააფინანსოს ეს ბუკლეტები და ყველა თბილისელს დაურიგდეს. ხალხმა უნდა გაიგოს, როგორ შეუჭამა დედაქალაქის მერმა ეს თანხები. აი, ეს იქნება ყველაზე კარგი. მარტო სიტყვები არ კმარა, მთავარია ფაქტების დადება და აი, კანონდარღვევის კონკრეტული და უტყუარი ფაქტებიც.

***— ბოლომდე მიყვებით, რომ ყველა კანონდარღვევა გამოაშკარავდეს, რომელიც უგულავას მერობის პერიოდში დედაქალაქის ხელმძღვანელობის მიერ განხორციელდა?***

— ჩვენ ბოლომდე მივყვებით ამ საქმეს. ჩვენ უგულავასთან დაკავშირებით ყველა იმ მასალას გავახმაურებთ, რომელიც მისი მხრიდან ჩადენილ კონკრეტულ კანონდარღვევას ადასტურებს. აუცილებელი არ არის, ყველა ადამიანი ციხეში მოხვდეს. უკან დააბრუნონ თბილისის ბიუჯეტში ეს თანხები და ყველაფერზე პასუხი მოეთხოვოთ.

# თემურ გუგუშვილი: თეატრი ზაბეგალოვკა“ არ არის!“

ეკა ირემაშვილი

საოპერო მომღერალმა თემურ გუგუშვილმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში განაცხადი შეიტანა. განაცხადების მიღება ოპერის თეატრმა 13 მარტს დაასრულა. როგორც „ახალ თაობას“ ოპერის თეატრის წარმომადგენელმა ზურაბ ოიკაშვილმა განუცხადა, კონკურსში მონაწილეობის სურვილი სულ 9 კანდიდატმა განაცხადა, მათ შორის არიან თემურ გუგუშვილი, რევაზ ლაგვილავა, მზია ნიორაძე, დავით გველესიანი, დავით მუქერია, დავით კინწურაშვილი, გიორგი ჟორდანია, რევაზ ჭეიშვილი და გიორგი ბაბუაძე.

თემურ გუგუშვილი ამ თანამდებობაზე გასამარჯვებლად უკვე მეორედ იბრძოლებს. ამბობს, რომ თეატრში საკმაოდ ბევრი სამუშაოა, თუმცა ამისთვისაც მზად არის. მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატორიაში კათედრას ხელმძღვანელობს, გასტროლებიც მრავლად აქვს და სტუდენტებიც ჰყავს, მშობლიური თეატრისთვის თავდადებისთვისაც მზად არის.

საოპერო მომღერალი სულ ახლახან დაბრუნდა მოსკოვიდან, სადაც „ტოსკა“ იმღერა. 25 მარტს ვაჟა აზარაშვილის ახალ ნაწარმოებებს თბილისელი მსმენელისთვის ააჟღერებს, აპრილში კი ქართველ მომღერალს უკვე მინსკში ელოდებიან.

**თემურ გუგუშვილი:**

— გასტროლები ჩემთვის უცხო არ არის. ჩვეულებრივი მიმდინარე სპექტაკლი იყო სტანისლავსკის თეატრში. მათ იმხელა რეპერტუარი აქვთ, შეიძლება, ორ თვეში გამეორდეს ერთი სპექტაკლი. წლებია, ძალიან კარგად ვიცნობ ამ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს. თავის დროზე ის ეკატერინბურგში იყო რეჟისორი. სწორედ მან დადგა ოთარ თაქთაქიშვილის „პირველი სიყვარული“. ეს ის პერიოდი იყო, როცა გეორგიევსკის ტრაქტატს ვზეიმობდით. იქიდან მოყოლებული ვმეგობრობთ. რამდენჯერმე ბაქოში შევხვდით, კონკურსის ჟიურიში ვიყავით ერთად, რიგაში შევხვდით, როცა სპექტაკლს დგამდა და იქ მიწვეული ვიყავი. იმის შემდეგ კვლავ შევხვდით მინსკში და მაშინ მითხრა, სპექტაკლი დავგეგმოთო, შევთანხმდით „ტოსკაზე“. უარი არ მითქვამს, რატომ უნდა მეთქვა? ერთი სპექტაკლი ვიმღერე და 5 დღის განმავლობაში 7-7 სოლისტი მყავდა გაკვეთილებზე. მსურველი უფრო მეტი იყო, მაგრამ მეტი ფიზიკურად ველარ შევძელი.

განმაცვიფრა თეატრმა, ოჯახში არ იქნება ისეთი სისუფთავე, იმ უშველებელ თეატრში რომ დამხვდა. სასწაულებრივი სილამაზის არის იქაურობა. ორი კლასი ერთმანეთს არ დაეჯახება, ისე აქვთ გაკეთებული და აწყობილი ყველაფერი. ხუთი კლასია ერთმანეთის გვერდით, ხუთი კონცერტმაისტერი მუშაობს ამხელა თეატრში დილის ათი საათიდან საღამოს ექვს საათამდე და ისეა ყველაფერი გაკეთებული, კლასიდან კლასში ხმას ვერ გაიგებ. ყველა სართულზე წყლის ჩამომშვები დგას, ჭიქები აწყვია, ვერ ნახავ, რომ ვინმეს რამე მიჰქონდეს ან აზიანებდეს, ბანკომატები, რა გინდა, ყველაფერი არის... ჩვენ რა გვჭირს, არ ვიცი. მოგვაქვს თავი, კულტურა, კულტურაო, მაგრამ...

***— ბატონო თემურ, დღეს, როცა ასეთი დაძაბული ვითარებაა, ბევრი არ მიდის მოსკოვში სამღერად...***

— სადაც კი დამინახეს და გაიგეს, რომ ქართველი ვარ, ხელისგულზე მატარებდნენ. ხალხი? რა შუაშია აქ ხალხი? ჩვენ რა, რუსები რომ ჩამოგვყავს რამეს ვერჩით? პოლიტიკოსებმა რაღაც ერთმანეთში ვერ გაიყვეს, ხალხი რა შუაშია? გასაგებია, რომ უთანხმოება არის, მაგრამ მე რომ მიყვარს ჩემი მიწა და ჩემი ქვეყანა, იმიტომ დავრჩი თბილისში. ახლა ბევრი რომ ლაპარაკობს, მაშინ როცა ყველაზე დიდი სირთულეები იყო საქართველოში, ცუდ სიტყვას ვიხმარ, ყველა აითესა და ახლა რომ ჩამობრძანდნენ და მზამზარეული უნდათ ყველაფერი. ასე არ არის! რამდენი კაცი ვიდექით თეატრის სცენაზე იმ სიცივეში, უშუქობაში, უფულობაში, უჭმელობაში, უტრანსპორტობაში?! ახლა კარგია ხომ ყველაფერი გამზადებული? და კიდევ ლოზუნგებს რომ ისვრიან? რა ეროვნებისაც გინდა იყოს და ვინც გინდა იყოს, ხელოვნება ყველასთვის ერთია, ქართულს უსმენ და იტალიურს, ის მუსიკაა და ამით ყველაფერი ნათქვამია. ყველაფერი ერთი ხელის გადასმით არ უნდა კეთდებოდეს, ვაიპატრიოტიზმი არ უნდა იყოს, უნდა იყოს საღი აზროვნება.

***— რა სიხშირით ჩადიხართ მოსკოვში?***

— კიდევ მთხოვდნენ დარჩენას, მაგრამ აღარ შემიძლია ამდენი. აქ მართლა ბევრი სამუშაო მაქვს, ამიტომ თანდათან მიჭირს გასტროლებზე სიარული. აქაც სპექტაკლები გვაქვს, სტუდენტები მყავს, კათედრას ვხელმძღვანელობ კონსერვატორიაში, მხოლოდ ღმერთმა იცის რა მოხდება ხვალ და ზეგ. რომ ვიცოდე, როდის წავალ ამ ქვეყნიდან, სულ სხვაა. მთავარია, ის წლები, როცა ხარ, შენი მრწამსით, შენი ცხოვრებით ცუდი საქმე არ გააკეთო. უშეცდომო არავინაა, მხოლოდ მამაზეციერია, მაგრამ, თუ კარგს ვერ გააკეთებ, ცუდს მაინც ნუ გააკეთებ.

ბიძინა ივანიშვილმა მთელი კულტურა გადაარჩინა შიმშილით სიკვდილს. მანამდე რამდენი დაიხოცა, იმიტომ რომ ელემენტარულად საჭმლის ფული არ ჰქონდათ. რამდენი პროფესორი იყო, რომლებიც თვალს მარიდებენ ქუჩაში, იმიტომ რომ უჭირთ, ბევრი ტაქსის მძღოლი გახდა, რომ პურის ფული ეშოვა. ესეც შრომაა, განა ვინმეს ვაკნინებ, მაგრამ არავის არ უნდოდა იმ პერიოდში 40 წელზე უფროსი ადამიანი. რა ქნას 40 წლის ადამიანმა? ეს კაცი ასეთ საქმეს აკეთებს, მთელი საქართველო მისი აშენებულია, რასაც ყველა თავის თავზე იწერს, ერთი რაღაც შეეშლება და მაშინვე მივარდებიან. ეგრეც არ არის საქმე. ერთი შენც გააკეთე რაიმე კარგი საქმე, არ შეიძლება? სულ არ მაინტერესებს ეს პოლიტიკა, მაგრამ ძალაუნებურად ყველანი ვართ ჩართულები ამ პროცესში. მოსკოვში რატომ წავიდა ანსამბლიო, რომ ამბობენ, რატომ არ უნდა წავიდეს? ომიანობა იყო, ხალხო, და მაშინ მღეროდნენ და უკრავდნენ და ახლა რატომ არ უნდა ვიმღეროთ და ვიცეკვოთ? მაშინ ჩავიკეტოთ თბილისში და ვიყოთ. ყველა ხომ ვერ დადის შორეულ საზღვარგარეთ? ისეთი ჩაკეტილი წრეებია, რომ შეიძლება, ვერასოდეს გაარღვიო. ჩვენთან იცით როგორ მიდგომაა? თუ ის საზღვარგარეთ არ გადის, ე.ი. არ ვარგა! თუ იქ არის, ე.ი. კარგია! რას აკეთებს არ აქვს მნიშვნელობა, რომ ჩამოვა, მიდის პრესა, ტელევიზია, ეს ჩამოვიდაო და უფენენ წითელ ხალიჩებს. მოდი, დალოცვილო, აქ მანახვე, რა შეგიძლია!

***— თქვენ რატომ არ წახვედით აქედან?***

— განა არ წავედი, ვერ წავედი! ვერ დავრჩი ვერსად. 2006 წელს მქონდა ამერიკაში შემოთავაზება, მაგრამ ვერ დავრჩი. აფრიკის ქვეყნების გარდა, თითქმის ყველგან ნამყოფი ვარ. სადაც ვიყავი, ერთხელ რომ დამიძახეს, მეორედაც დამიძახეს და მესამედაც. მაშინ ახალგაზრდაც ვიყავი, მაგრამ მაინც ვერ დავრჩებოდი ვერსად.

***— არ ნანობთ?***

— არა, ნამდვილად არ ვნანობ. ვნანობ იმას, რომ ჩვენს ქვეყანაში სხვანაირი გაგებაა.

***— რას გულისხმობთ?***

— ისევ იმას გავიმეორებ, თუ სხვაგან ხარ, კარგად მიაჩნიხარ ყველას. გამოდის, შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს. თუ ადამიანს არ ჰყავს პიარმენეჯერი, ის მაშინ არ ჩანს. ბოლო პერიოდში უფრო დაინტერესდნენ ჩემით, თორემ ოდესმე გინახავთ ჩემზე ან სტატია ან სატელევიზიო გადაცემა? არავის დაურეკავს ჩემთვის და ის ადამიანი არ ვარ, რომ თვითონ ვთხოვო ვინმეს რამე. არასოდეს ვიკადრებ იმას, სხვები რომ კადრულობენ. ვიღაცა რაღაცას პატარას წაიჩხავლებს და არის ერთი ამბავი ატეხილი. ამიტომაც არასოდეს ყოფილა ჩემ მიმართ ასეთი ამბები და არც მაინტერესებს. არიან ჩასაფრებულები, რაღაც რომ წამოგაცდენინონ, ხელოვნება საერთოდ არ აინტერესებთ. ეს განსაკუთრებით ბოლო წლებში შეინიშნება. ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა რომელი პარტიის წევრი ხარ, მთავარია, იყავი წესიერი და პატიოსანი ადამიანი.

***— თქვენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობთ. გაქვთ გამარჯვების იმედი?***

— რადგან დასმა დამიჭირა მხარი და დაასახელა ჩემი კანდიდატურა, გადავწყვიტე შემეტანა საბუთები. შემიძლია პირდაპირ ვთქვა, რომ თეატრში მუშაობის დიდი გამოცდილება მაქვს, სხვაგანაც მაქვს ნამუშევარი წლების მანძილზე სხვა სპეციალობით, პატარა ბიჭი არ ვარ, ერთი წელი თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელიც ვიყავი, ბატონი ჯანოს ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ. ცოტა ცუდადად ვიტყვი, თეატრი არ არის პატარა „ზაბეგალოვკა“, ის არ არის ერთი კაცის თეატრი, რომ ისეთი ადამიანი დაინიშნოს, რომელსაც რაღაც არ აქვს გაკეთებული ამ თეატრში, რომელსაც ხალხი არ იცნობს და პატივს არ სცემს, განსაკუთრებით თეატრში მომსახურე პერსონალი. რომ ჰგონიათ, თუ თეატრში პირველი პარტიების მომღერალი არ ხარ, არაფრის უფლება არ გაქვს. რატომ? ის ადამიანი არ არის? ხომ ყველა ადამიანია? ყველას თავისი პროფესია აქვს და იმ პროფესიას უნდა დაფასება და პატივისცემა. ჩემი პრიორიტეტი ეგ იქნება, ყველა უნდა იყოს თავის საქმეში დაფასებული. ჩემი ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ესაა, თუ, რა თქმა უნდა, დასი ამირჩევს.

***— მზად ხართ ამ ტვირთისთვის?***

— კარგად მესმის, რომ ეს ძალიან რთული საქმე იქნება, მაგრამ კიდევ შემიძლია, მაქვს ის ენერგია, რომ რაღაცაში გამოვადგე ჩემს თეატრს. ჩემსას ვიტყვი, იმიტომ რომ უკვე 36-ე წელიწადია, ამ თეატრში ვარ. ამდენი წლის განმავლობაში არ მგონია, ვინმეს თბილისში, საქართველოში იმდენი ემღერა, რამდენი მე მაქვს ნამღერი, ტენორს განსაკუთრებით. შეიძლება ვცდები, ყველას ღმერთმა თავის გზაზე გაუმარჯოს. არავის არ ვაყენებ შეურაცხყოფას, არც მივაყენებ, არ ვარ ის ადამიანი, რომ ვინმეს ჯინში ჩავუდგე. უპირველეს ყოვლისა, თეატრში უნდა იყოს პროფესიონალიზმი. ძალიან ბევრი ადამიანი მუშაობს ოპერისა და ბალეტის თეატრში. ეს არის სახელმწიფოში სახელმწიფო და მისი ერთპიროვნული მართვა გამორიცხულია. აქ იქნება ის ხალხი, რომელიც იქნება სამხატვრო საბჭოში და მათთან იქნება შეთანხმებული ყველანაირი გადაწყვეტილება. ერთპიროვნული გადაწყვეტილებები, თუ ცოტა გამოცდილება გაქვს, არ უნდა მიიღო. რა მოხდება არ ვიცი, სიმართლე რომ გითხრათ, დიდი სირთულეები გველოდება. მაქვს იმის იმედი, თუ ამირჩევს კოლექტივი, ჩემს გვერდში იქნება, მეც მათ გვერდით ვიქნები, დაგვეხმარება კულტურის სამინისტრო, რომელსაც არაჩვეულებრივი ადამიანი უდგას სათავეში. ხომ არ ვამბობ, ის ბრწყინვალე მუსიკოსია-მეთქი, როგორც ადამიანი, არის ძალიან კარგი. თუ კარგი ადამიანი ხარ, კოკასა შინა რაცა დგასო, ხომ გაგიგიათ. არ შეიძლება, კარგმა ადამიანმა ცუდი რამ გააკეთოს, თუმცა, შეიძლება, გააკეთებინონ, რას ვიზამთ, პოლიტიკა ასეთია.

***— ფარული კენჭისყრით ჩატარდება არჩევნები?***

— არაფერი არ ვიცი ამის შესახებ.

***— დამარცხებაზე გიფიქრიათ?***

— კი და სულაც არ არის ეს მტკივნეული. არ უნდიხარ და რა ძალაა? კონსერვატორიაშიც ასე იყო. რომ წამეგო, დავიხურავდი ქუდს და წავიდოდი. თუ ცოტა აზროვნებ, ყველაფერს გაგებით უნდა მოეკიდო.



***— სამხატვრო საბჭოს არჩევის დარღვევებზე არსებული კითხვები ამოწურულია?***

— ამაზე არაფერი ვიცი. ყველამ დაანებოს თავი ამ ჩხიკინს. აირჩა საბჭო? მორჩა და დამთავრდა! ადამიანი 30 წელი თბილისში რომ არ იყო, რეებს ლაპარაკობს? გუშინ რომ კაცი თეატრში მოვიდა, იმას რა უნდა ვკითხოთ? ხომ შეიძლება მოვიდეს ვიღაც და გითხრას, არ მჭირდებიო? დადექი იმღერე, აგერ კომისია, სულ არ გაეკარება სამხატვრო ხელმძღვანელი კომისიას, სხვა დაჯდება, ვერ იმღერებ და მორჩა! აქ ყველანაირი ჩაწყობა გამორიცხულია.

***— ოპერის თეატრში მართლა ორი გუნდია?***

— ვიცი, ეს მზია ნიორაძემ თქვა, ის ოპერის თეატრში არ ირიცხება, მაგრამ მიმაჩნია, რომ ძალიან კარგი მომღერალია. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, მზია ნიორაძისნაირი მომღერალი უნდა იყოს ოპერის თეატრში, უფრო სწორად, აქამდეც უნდა ყოფილიყო, რომ გააძლიეროს მეცოსოპრანოების რგოლი. ძალიან კარგი მომღერლები გვყავს, მაგრამ კიდევ უფრო ძლიერი მომღერლები გვჭირდება. დღეს არის მწირი რეპერტუარი, მაგრამ თეატრი რომ გაიხსნება, რეპერტუარი დიდი უნდა გახდეს, ბევრი მცოდნე კონცერტმაისტერი გვჭირდება, ბევრი მომღერალი, ბევრი პროფესიონალი. მაქსიმალურად უნდა ვიმუშაოთ, რომ სამი თვის განმავლობაში ოთხი სპექტაკლი მაინც გავუშვათ სხვადასხვა დასახელების. ამაზე მუშაობა ახლა უნდა დაიწყოს. „აბესალომ და ეთერი“ ჩვენი თეატრის და ჩვენი ქვეყნის სავიზიტო ბარათია, ამიტომ ეს უნდა იყოს სულ სხვა. ძალიან კარგი მხატვრები და რეჟისორები გვყავს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უნდა იყოს ერთპიროვნული მხატვარი და რეჟისორი. ჩემი აზრით, უნდა გამოვაცხადოთ კონკურსი, მოვიდეს დამდგმელი ჯგუფი, რეჟისორი, მხატვარი და კომისიას წარუდგინოს. მაზე სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ და კომისიამ უნდა გადაწყვიტოს, ვინ დადგამს სპექტაკლს ან საერთოდ რა სპექტაკლს დავდგამთ. მიმაჩნია, რომ თეატრის რეპერტუარში აუცილებლად უნდა იყოს „დაისი“, „ქეთო და კოტე“, „მინდია“, ამის პარალელურად უნდა იყოს მუშაობა სხვა სპექტაკლებზე, უნდა გვქონდეს რეპერტუარში „ევგენი ონეგინი“, „პიკის ქალი“, რუსული ოპერები უნდა იდგმებოდეს, ეს კლასიკაა, რაზეც ჩემი და ჩემი წინა თაობა გაიზარდა, შეიძლება ვიღაც ასე არ ფიქრობს, მაგრამ პირადად ასე მიმაჩნია.

რა გვინდა? რატომ ვჩხუბობთ? იმაზე კი არ ვჩხუბობთ, რომ ის ცუდი კაცია ან ცუდი ადამიანია? მოხდა ისე, რომ მან პირველი შეცდომა დაუშვა, პირველს მეორე მოყვა, მეორეს მესამე და ეს ყველაზე რთული შეცდომა იყო.

***— რა შეცდომა იყო?***

— ის, რომ ყველაფერი მე უნდა გავაკეთო, თქვენ ვინ გეკითხებათო.

***— მას შემდეგ თუ შეხვდით გიორგი ჟორდანიას?***

— არა და აღარც მინდა ამაზე საუბარი. ძალიან კარგი ადამიანია, საუბარშიც, ქცევაშიც, პიროვნულადაც. სულ სხვა არის პროფესიონალიზმი. იმასაც არ ვამბობ, რომ არაპროფესიონალია, მაგრამ ამასთან ერთად რაღაც სხვაც უნდა იყოს.

***— ასწრებთ ოპერის თეატრის გახსნას შემოდგომაზე თუ მართლა ჯანლუკა მარჩანოს გამო უნდა გადადოთ ეს ღონისძიება?***

— რა შუაშია აქ ჯანლუკა? ჯანლუკას არ აქვს დოგმა დადებული, რომ, გინდა თუ არა, „აბესალომ და ეთერი“ უნდა ვიდირიჟოროო. თეატრი არ გაიხსნება სექტემბრისთვის, ვერ ესწრება. ჩვენმა ტექნიკურმა დირექტორმა ძალიან კარგად ახსნა, რატომ ვერ იხსნება თეატრი ამ დროისთვის. ჩვენს თეატრში სარემონტო სამუშაოები ერთი წლის განმავლობაში გაჩერებული იყო, იმიტომ რომ დააყადაღეს ანგარიშები. კაცი წამოვიდა იმაზეც, რომ 8 მილიონი ევრო გაელო თეატრის სცენის გაკეთებისთვის, მაგრამ აღარ მისცეს ამის საშუალება. რაც შეეხება აბესალომს, იყო მხატვარი, რომელიც აკეთებდა აბესალომის ესკიზებს, მაგრამ დღეს...

***— ვინ იყო ეს მხატვარი?***

— მურაზ მურვანიძე. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ის უბრალო მხატვარია. საკმაოდ ცნობილი და კარგი მხატვარია, მაგრამ... ახალი ხელმძღვანელობა მოვა თეატრში და ის მიიღებს გადაწყვეტილებებს.

***— მურაზ მურვანიძე ხომ არის თეატრის მთავარი მხატვარი?***

07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" 14.00 მხ/ფ **"ბრიზლის ჩანჩქერი"** 17.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 18.00 ტ/სერ. **"სიკეთე და ბოროტება"** 19.15 "ჩვენი ეზო" 21.00 ტ/სერ. **"მეამბოხე მიწა"** 22.00 პოლიტიკური თოქ-შოუ 23.00 დ/ფ 23.40 **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. მერვედფინალი: **ბორუსია – ზენიტი** (პ/რ) შესვენებისას: "ტელევიქტორინა" 01.40 მხ/ფ **"ოჯახური ნაკლი"** 03.10 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) 05.10 "ჩვენი ეზო" (გ/ჩვ) 05.40 პოლიტიკური თოქ-შოუ (გ/ჩვ.)

08.00, 10.00, 15.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა (პ/ტ) 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.00 "ბრიფინგის დრო" (მიმდინარე დღის)

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00" 20.00, 00.30 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 8 სერ. 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 21.00 სერ. **"სილა"** 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 23.30 EMERGENCY– სასწრაფო დახმარება 00.40 მხ/ფ **"მფრინავი ხანჯლების სახლი"**

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. **"დასასრული"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტ.)

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 ქვიშით ნაამბობი 06.45 დოკ/ფ "ვანის ნაქალაქარი" 06.50 მხ/ფ **"პიანისტი"** II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00 სიახლენი 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 12.50 მოკ./ფ. **"ჰობოი"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.30 კონცერტი - ანდრია ბოჩელი 17.00 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 პირველშეწირული წირვის განმარტება(მამა ბიძინა გუნია) 19.35 მხ/ფ **"დანაშაული მოხდა"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.20 "ივერიის ეკლესია" 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარნი" დოსითეოზ ქუთათელი 23.40 დოკ/ფ "პოდმანიე" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 5.30, 6.30, 7.30 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი "რბოლა" 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 9.15 **სერიალი "ჩემი შვილები"** 10.15, 16.00 **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** 13.00, 18.25, 0.30, 3.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30, 3.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 14.00 "თქვენი გადახდილია" (გამ.) 14.30, 1.45, 4.30 NX სპიკერი 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.15 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

## ხუთშაბათი 20 მარტი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" 14.00 მხ/ფ **"და მოვა სიყვარული"** 17.00 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის სამყარო" 18.00 ტ/სერ. **"სიკეთე და ბოროტება"** 19.15, 04.10 "შემოძახილი" 21.00 ტ/სერ. **"მეამბოხე მიწა"** 22.00, 04.40 "არენა" 23.00 "უცნობი მუსიკა" 00.30 მხ/ფ **"ნახევრად პროფესიონალი"** 02.10 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) 05.40 მხ/ფ **"და მოვა სიყვარული"**

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "ევროპა XXL დამალული ეპიდემია" 14.00, 16.00 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 20.00 "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ" რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" (პ/ე)

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00" 20.00, 01.50 ქრონიკა. 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ. **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 9 სერ. 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 21.00 სერ. **"სილა"** 22.00 ქ.მხ/ფ **"გაილემეთ"** 00.00 მხ/ფ **"16 კვარტალი"** 02.00 მხ/ფ **"მფრინავი ხანჯლების სახლი"**

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. **"დასასრული"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 პროფილი 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტ.)

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "ერთი ჭორროხის შვილები" 07.20 პირველშეწირული წირვის განმარტება (მამა ბიძინა გუნია) 07.35 დოკ/ფ "საქართველოს ეკლესიის წმინდა მღვდელმთავარნი" დოსითეოზ ქუთათელი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქართული ალბომი 11.25 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ **"დანაშაული მოხდა"** 13.15 ივერიის ეკლესია 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.30 მრავალთათვის საკეთილო - ნანა ხატისკაცი 16.10 კონცერტი - თამარ და ნათია ბერაიები 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.30 "პორტრეტები" 20.15 მოკ./ფ. **"ადგილის დედა"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 თეთრიდან თეთრამდე 21.30 დოკ/ფ "შორ ვართ" 22.25 საქართველოს ისტორია 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "წმინდა კირილე ალექსანდრიელი" 23.50 ქვიშით ნაამბობი 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 5.30, 6.30, 7.30 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი "ყოჩაღი ბიჭები" 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 9.15 **სერიალი "ჩემი შვილები"** 10.15, 16.00 **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** 13.00, 18.25, 0.30, 3.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30, 3.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 14.00 შოუ "ოთხი ოთხზე" (გამ.) 14.35, 1.45, 4.30 NX სპიკერი 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.15 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

## პარასკევი 21 მარტი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 10.30 "დღეს" 14.00 მხ/ფ **"ბორსალინო და კომპანია"** 17.00 ძიუდო. თბილისის გრან-პრი (პ/რ) 19.30 დ/ფ "ბარსელონას გერმანული პავილიონი" 21.00 ტ/სერ. **"მეამბოხე მიწა"** 22.00, 04.40 პოლიტიკური თოქ-შოუ 23.30 მხ/ფ **"იბრძოლე"** 00.45 მხ/ფ **"მიჩივლე"** 02.40 "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა (გ/ჩვ) 06.10 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის სამყარო"

08.00, 10.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) 12.00 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა (პ/ტ) 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო"

07.00 მხიარული კამერა 07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.50 ქრონიკა. 09.10 იმედის დილა (პ/ე) (გაგრძელება) 10.05 სერ. **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05, 16.03 სერ. **"სიყვარული ცა და მიწა"** 10 სერ. 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 21.00 სერ. **"სილა"** 22.00 თოქ შოუ - რეაქცია (პ/ე) 00.00 მხ/ფ **"ორფევრის სანაპირო ტ 36"** (ჟ.დეპარდიე) 02.00 მხ/ფ **"16 კვარტალი"** (მ.დეფი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზირი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. **"დასასრული"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 00.30 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მრავალთათვის საკეთილო - ნანა ხატისკაცი 07.15 დოკ/ფ "წმინდა კირილე ალექსანდრიელი" 07.55 იმართლმადიდებლური კატეხიზმო 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 საქართველოს ისტორია 11.05 სახლი ღვთისა 11.15 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 13.00 მოკ./ფ. **"ადგილის დედა"** 13.25 პატერიკი 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება (გ.სარია) 15.20 დოკ/ფ "ველური ბუნება" 15.45 კონცერტი -პატარა საზეიმო მესა 16.55 კვირიაკე 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ქრისტიანული სწავლება 19.40 მხ/ფ **"არსენას ლექსი"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 შაბათის სახარების განმარტება (მამა ზურაბი) 23.30 დოკ/ფ "ღმერთს ებარებოდეთ" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე

მაესტრო 0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 5.30, 6.30, 7.30, 14.00 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი "ყოჩაღი ბიჭები" 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები 9.15 **სერიალი "ჩემი შვილები"** 10.15, 16.00 **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** 13.00, 18.25, 0.30, 3.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30, 3.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 14.30, 1.45, 4.30 გადაცემა "პულსი"(გამ.) 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.15 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**

## შაბათი 22 მარტი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.40 საბ. ან/სერ. **"სკუბი დუ! ბანაკის საშინელებანი"** 10.00 საბავშვო მხ/ფ **"განძთა კუნძული"** 11.30 საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 არჩილ კერესელიძე – 100 წლის იუბილე 13.40 მხ/ფ **"მზის იმპერია"** 16.30 "გურმანია" 17.00 ძიუდო. თბილისის გრან-პრი (პ/რ) 19.00 "ეტალონი" 21.00 "შეხვედრები მწერალთა სახლში" 22.00 "წითელი ზონა" 23.00 მხ/ფ **"საქმე დახურულია"** 01.00 მხ/ფ **"მარილში"** 03.00 "გურმანია" (გ/ჩვ) 03.30 "შეხვედრები მწერალთა სახლში" (გ/ჩვ) 04.30 "ეტალონი" (გ/ჩვ) 05.30 მხ/ფ **"ბორსალინო და კომპანია"**

08.00, 10.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (პარ. გ/ჩვ) 12.00 დ/ფ "მესამე ხანა" 13.00 მხ/ფ **"ერთგული ხელი"** 14.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "ვენეცია" 15.00 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 3 ნაწ. 17.00 მხ/ფ **"პროფესიონალი"** 19.00 "ეპიცენტრი" (პ/ე) 20.00 მხ/ფ **"დაუმორჩილებელი"** (მ. ფრიმანი) 22.00 ტ/სერ. **"დავქორწინდეთ"** 11 სერ. 23.00 მხ/ფ **"ვაჟიშვილები"** (ჰ. მირენი)

08.00 ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" 08.25 მხ/ფ **"საქორწინო წვეულება"** 10.25 ეკოვიზია 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 "ჩვენებურები - ქვათა ღაღადი" 2 სერ. 12.00 სერ **"მერლინი"** 13.00 ღამის შოუ (გ/ჩ) 14.30 ეკა ხოფერიას თოქ შოუ (გ/ჩ) 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 19.30 ევროპაბეთი - გათამაშება (პ/ე) 21.00 სერ. **"სილა"** 22.00 სერ. **"დედამიწის ბურჯები"** 3 სერ. 23.00 მხ/ფ **"ბაზა"** (ს.ელ ჯექსონი) 00.50 მხ/ფ **"ორფევრის სანაპირო ტ 36"**

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 10.00 ეკი ვოკი გ/ჩ 11.00 იღბლიანი ბორბალი გ/ჩ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 შერეკილები 15.30 "ნანუკას შოუ" - გ/ჩ 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.00 რა? სად? როდის? 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ 00.30, 03.30 მხ/ფ.

06.05 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 დოკ/ფ "პლანეტა დედამიწა" 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 შაბათის სახარების განმარტება (მამა ზურაბი) 10.50 ქრისტიანული სწავლება 11.00 კვირიაკე 12.10 მხ/ფ **"არსენას ლექსი"** 13.05 სალვთისმეტყველო საუბრები 14.00 ღია აუდიტორია 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05 ოპერა - **"ტოსკა"** 17.25 დოკ/ფ "ველური ბუნება" 18.10 სად უჩინარდებიან ჩემპიონები - გურამ საღარაძე 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 თბილისის ტაძრები 19.35 ქართული ალბომი 20.00 "ერთსულოვნების სალონი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ქრისტიანული ხელოვნება 22.20 დოკ/ფ "წუთისოფლიდან მარადისობისკენ" 22.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ქართული ხმები 00.35 დროის ჩანაწერები 01.25 მხ/ფ **"კატინი"** I ნაწ.

მაესტრო 00.00, 1.00, 2.00, 3.00, 5.00, 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 ფარული კამერა (საბ.) 8.30 მულტფილმი "ოლივერ ტვისტი" 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** (გამ.) 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 21.40 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 18.45, 1.30 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.30 "თქვენი გადახდილია" (ანეკდოტები) 23.30, 3.30 **სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება"** 0.30 NX სპიკერი (გამ.) (ორშ.) 4.30, 5.30, 6.30 ფარული კამერა

## კვირა 23 მარტი

08.00 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 09.00 საბ/ფ **"ჰარი პოტერი და ნახევარსისხლა პრინცი"** 11.30 საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 "ჩვენი ფერმა" 13.00 "სამოთხის ვაშლები" 14.00 დ/ფ "სამეფო სასტუმრო" 14.30 ქართ. მხ/ფ **"თოჯინები იცინიან"** 16.30 "ვაშინგტონი დღეს" **შეიძლება შეიცვალოს** 17.00 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 17.55 **ფეხბურთი**. საქართველოს ჩემპიონატი: **"დინამო"** – **"მეტალურგი"** (პ/რ) 17.00 ძიუდო. თბილისის გრან-პრი (პ/რ) 19.30 "ჩემპიონთა ლიგის დღიური" 20.30, 03.10 "ტელებლოგი" 21.00 "ჩემი წიგნი" 22.00 ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა - მხ/ფ **"და იქმნა ნათელი"** 23.45 მხ/ფ **"მაგარი პოლიციელები"** 01.40 "სამოთხის ვაშლები" 02.40 "ჩვენი ფერმა" (გ/ჩვ) 03.40 მხ/ფ **"მზის იმპერია"**

08.00 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 3 ნაწ. (გ/ჩ) 09.00 "ბრიფინგის დრო" 10.00 მხ/ფ **"ფეხსაცმელი და ვარდი"** 12.15 საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომები (განვლილი კვირის დაიჯესტი) 15.00 **ფეხბურთი** – საქართველოს ჩემპიონატი: **"დინამო"** /**თბილისი**/ – **"მეტალურგი"** /**რუსთავი**/ (პ/რ) 17.00 მხ/ფ **"მიფრთხილდი"** 18.20 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "ათენი" 19.00 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 4 ნაწ. 20.00 მხ/ფ **"ის ჩემზე უარესია"** 22.00 ტ/სერ. **"დავქორწინდეთ"** 23.00 მხ/ფ **"კუდის ქიცინი"**

08.00 ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" 09.00 მხ/ფ **"ჰანა მონტანა"** 11.00, 14.00, 17.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 სერ **"მერლინი"** 13.00 კულინარიული დუელი 14.30 იმედის გმირები 15.00 ქმხ/ფ **"ჩვეულებრივი ბალადა"** 17.30 ორი ვარსკვლავი (გ/ჩ) 20.00 პანორამა 21.00 ღამის შოუ 22.00 სერ. **"დედამიწის ბურჯები"** 4 სერ. 23.00 ქ.მხ/ფ **"მედიატორი"** 00.50 მხ/ფ **"უკანასკნელი ლეგიონი"** (ტიტ.)

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 მხ/ფ. 10.30 ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) 12.00, 15.00, 18.00, 03.00 კურიერი 12.30 გააცინე და მოიგე (16 მარტის გ/ჩ) 14.00 ეკი ვოკი 15.30 პროფილი გ/ჩ 18.50 იღბლიანი ბორბალი 20.00 გააცინე და მოიგე 21.00 P. S. 22.00 **სერიალი "ჩემი ცოლის დაქალები"** 23.00 კომედი შოუ 00.30, 03.30 მხ/ფ.

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 საკვირაო სახარების განმარტება 08.30 თბილისის ტაძრები 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.15 სიახლენი 10.40 ივერიის ეკლესია 10.50 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.10 მხ/ფ **"ლომა, დავიწყებული მემკვიდრე"** 13.30 ქრისტიანული ხელოვნება 14.10 ისტორიის გაკვეთილი 14.45 საკვირაო სახარების განმარტება 15.05, 18.05, 21.05, 00.05 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 სალვთისმეტყველო საუბრები 18.25 დროის ჩანაწერები 19.15 დოკ/ფ "წმინდა ანტონ ჭყონდიდელი" 19.25 მხ/ფ **"სამანიშვილის დედინაცვალი"** 21.40 კვირიაკე 21.40 ქვიშით ნაამბობი 21.50 საკვირაო სახარების განმარტება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დიდი მარხვა - მამა მაქსიმე - ჯვრის თაყვანისცემის კვირა 00.30 პორტრეტები 01.10 მხ/ფ **"კატინი"** II ნაწ.

მაესტრო 00.00, 1.00, 2.00, 5.00, 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 ფარული კამერა (საბ.) 8.00 მულტფილმი "ოლივერ ტვისტი" 9.30, 11.00, 12.30, 15.30, 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** (გამ.) 10.30 გადაცემა "პულსი" 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 21.40 კვირის აზრები 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 18.30, 0.30 სტუდია "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.30 შოუ ,,ოთხი ოთხზე" 23.40, 3.35 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"** 1.30 "ყოველდღიური აბები" (გამ.)(ოთხშაბათის და ხუთშაბათის გადაცემები) 3.10, 4.35 NX სპიკერი (გამ.) (სამშ.) 5.30, 6.30 ფარული კამერა.

# რუსეთი–უკრაინა: დაძაბულობა იზრდება

## აშშ კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას ცდილობს

რაც უფრო ახლოვდება „ყირიმის რეფერენდუმი“, სიტუაციაც მით უფრო იძაბება. რუსეთ-უკრაინის საზღვრებთან მოსკოვმა თავი მოუყარა დიდძალ ცოცხალ ძალასა და სამხედრო ტექნიკას.

— ჩვენს საზღვრებთან 70 000 რუსი ჯარისკაცია კონცენტრირებული, — განაცხადა უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივანმა ანდრეი პარუბიიმ.

### აბობოქრებული ყირიმი

ყირიმში რუსების ყოფნა განსაკუთრებით მტკივნეულად იგრძნობა. ყველა სტრატეგიული ობიექტი ოკუპანტების ხელთაა. გრძელდება უკრაინული სამხედრო ნაწილების ბლოკადა.

— ჩვენს მეომრებს აიძულებენ, „ყირიმელი ხალხის“ ერთგულებაზე ფიცი მიიღონ“, — აღნიშნა უკრაინის პრემიერმა არსენი იაცენიუკმა, — უარის შემთხვევაში კი მათაც და მათი ოჯახების წევრებსაც ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებიან.

იგივე მეთოდები გამოიყენება ყირიმის ტერიტორიაზე მყოფი უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლების მიმართ. ბევრი მათგანი ავტომატის მუქარით აიძულეს, აქსიონოვის თვითმარქვია მთავრობის მხარეს გადასულიყვნენ. ოკუპანტების ყოფნა უკვე ყოფით დონეზეც იგრძნობა.

— ყირიმი მრავალეროვანი კუთხეა. აქამდე არავინ ასხვავებდა, ვინ რუსი იყო, ვინ უკრაინელი. ახლა ვითარება შეიცვალა, — იტყობინება ტელეკომპანია „ინტერი“.

სეპარატისტული მთავრობის მომხრენი ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებიან ყველას, ვინც მხარს უჭერს უკრაინის ერთიანობას. ამ ნიადაგზე უკვე არაერთი ინციდენტი მოხდა. მაღაზიებში, რესტორნებსა თუ ქუჩაში ჩხუბი ჩვეულებრივი მოვლენა გახდა.

— ხოხოლები მუდამ მოღალატენი იყვნენ, სტალინი მართალი იყო, როცა მათ ხოცავდა! ახლა პუტინი სტალინის მიერ დაწყებულ საქმეს დაამთავრებს და ამ არამზადებს საბოლოოდ გაანადგურებს, — ამბობენ სეპარატისტების მომხრეები.

ყირიმელი თათრებიც ასევე საშინელ ზეწოლას განიცდიან. მათი სახლები კარგა ხანია ჯვრებითაა მონიშნული. აქსიონოვის „მთავრობის“ მომხრენი აშკარად აცხადებენ, რომ მალე თათართა დეპორტაცია დაიწყება.

— ყირიმი ყველა არასასურველი ელემენტისაგან გაიწმინდება, ვერც ერთი ფაშისტი თუ მათი დამქაში აქ ველარ იბოგინებს, — ეს პირადად აქსიონოვმა განაცხადა.

ადგილობრივ პრესაში სულ უფრო ხშირად ჩნდება მასალები, სადაც ნათქვამია, რომ ყირიმელი თათრები მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტებთან თანამშრომლობდნენ, მათი გასახლებაც სრულიად კანონზომიერად მოხდაო.

— უსამართლოდ არავინ დაუჩაგრავთ. შედგა სასამართლო, რომელმაც კოლაბორაციონისტები დასაჯა, — ასკვინიან რუსი ჟურნალისტები.

მასმედიის იმ თანამშრომლებს, რომლებიც ამას არ იზიარებენ, ფიზიკურად უსწორდებიან. „ახალი თაობა“ უკვე წერდა ტელეკომპანია „ინტერის“ ჟურნალისტებზე განხორციელებული ძალადობის შესახებ. ამის შემდეგ მოხდა თავდასხმა უკრაინული არხის ერთი პლუს ერთის გადამღებ ჯგუფზე. ჟურნალისტებს სცემეს, შემდეგ კამერები წაართვეს. ფრანგ ჟურნალისტებსაც იგივე ბედი ეწიათ. მათ არა მხოლოდ სცემეს და კამერები წაართვეს, არამედ გაძარცვეს კიდეც.

— ექსტრემისტების მოქმედება ზრდის უფსკრულს როგორც რუსებსა და უკრაინელებს, ასევე რუსებსა და ყირიმელ თათრებს შორისაც, — ამბობს მილი-მეჯლისის ლიდერი რაფატ ჩუბაროვი.

იალტაში გამართულ მიტინგზე ეს ნათლად გამოჩნდა. უკრაინის ერთიანობის შენარჩუნების მომხრეებმა ეროვნული დროშის აფრიალება სცადეს. რუსები ამან გააღიზიანა:

— ფაშისტური დროშა აქედან მოაშორეთ!

უკრაინელები, ბუნებრივია, ამას არ დაემორჩილნენ. რუსებმა დროშის ძალით წართმევა და მისი დაწვა ცადეს. გაიმართა ჩხუბი. მილიცია საოცარ პასიურობას იჩენდა. სეპარატისტები დანებითა და ხელკეტებით იყვნენ შეიარაღებულნი, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დაუკავებიათ.

— მიუხედავად ამისა, უკრაინელებისათვის დროშის წართმევა მათ მაინც ვერ შეძლეს, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

### სისხლიანი შეტაკებები დონეცკში

იალტაში ყველაფერი ჩამტვრეულ კბილებითა და ჩალურჯებული თვალებით დამთავრდა. ნაცემ-ნატყეპები ორივე მხარეს იყვნენ. სამაგიეროდ, სისხლიანი სცენარით განვითარდა მოვლენები დონეცკში. იქაც რუსეთთან შეერთების მომხრეებმა აქცია მოაწყვეს. ისინი კი, ვისაც უკრაინის ერთიანობის შენარჩუნება სურს, ამას შეეწინააღმდეგნენ.

რუსეთის მომხრეები ლენინის ძეგლთან შეიკრიბნენ, უკრაინელი პატრიოტები კი — ტარას შევჩენკოს ძეგლთან, — იტყობინება



რადიო „თავისუფლება“.

— კვლავ გამეორდა ის, რაც აქამდე ხდებოდა. როსტოვის ოლქიდან დონეცკში დიდი ოდენობით პროვოკატორები გადასხეს, — ამტკიცებს პატრიოტული ორგანიზაცია „სვობოდას“ ლიდერი, პარლამენტის დეპუტატი ოლეგ ტიაგნობოკი.

მართალია, საზღვარზე კონტროლის გამკაცრებამ რუსებს პრობლემები შეუქმნა, მაგრამ პროვოკატორები უკრაინის ტერიტორიაზე შეღწევას მაინც ახერხებენ.

— ათიათასიანი მიტინგების ნაცვლად გვაქვს ათასკაციანი მანიფესტაციები, თუმცა ამან ვითარება არცთუ ძლიერ შეცვალა. რუსები აგრესიულად იქცევიან, ჩვენი ძალოვნები კი ამ არამზადების მიმართ კვლავ ლმობიერებას იჩენენ, — ამბობს ტიაგნიბოკი.

კანონის დამცველთა პასიურობამ სეპარატისტებს ფრთები შეასხა. ისინი შევჩენკოს ძეგლთან შეკრებილ პატრიოტებს თავს დაესხნენ. „ექსტრემისტები დანებით, არმატურებითა და ხელკეტებით იყვნენ შეიარაღებულნი“. გაიმართა ჩხუბი. მასში ორივე მხრიდან ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. კანონის დამცველებმა მხოლოდ ამის შემდეგ იკადრეს და რამდენიმე ყველაზე აქტიური ხულიგანი დააკავეს. ამან სეპარატისტები გააცოფა.

— მათ გადაკეტეს გზა, შემდეგ კი მგზავრებით დატვირთული ტროლეიბუსის გადაბრუნება ცადეს, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

პარადოქსია, მაგრამ მილიციამ ამის შემდეგ დაკავებული ხულიგნები გაათავისუფლა. გათავხედებულმა სეპარატისტებმაც პატრიოტებზე ახალი იერიშები მიიტანეს.

— შედეგად ასამდე ადამიანი დაშავდა, სამი კი დაიღუპა, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

არანაკლებ ბობოქარი მოვლენები განვითარდა ლუგანსკში. იქაური ექსტრემისტები ადგილობრივი „მაიდანის“ აქტივისტებს თავს დაესხნენ და სასტიკად სცემეს. კანონის დამცველებმა მხოლოდ ამის შემდეგ დააკავეს რამდენიმე ექსტრემისტი, მათ შორის „ლუგანსკის გვარდიის“ მეთაური ხარიტონოვიც მოხვდა. ახლა ის კიევში უკრაინის უშიშროების სამსახურის იზოლატორშია მოთავსებული. ასევე დაკავებულია დონეცკში პატრიოტებზე თავდასხმის რამდენიმე ორგანიზატორიც.

### აშშ-ის ძალისხმევა

რუსეთ-უკრაინას შორის დაძაბულობა სულ უფრო იზრდება, რაც გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზეც ნათლად წარმოჩნდა. რუსეთის წარმომადგენელი ჩურკინი კვლავ თავის რეპერტუარში იყო. ის ამტკიცებდა, რომ უკრაინის ახალი ხელისუფლება არალეგიტიმურია. ყირიმს, ისევე, როგორც სხვა რეგიონებს, თვითგამორკვევის უფლება აქვთ. — თუკი დასავლეთმა კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა, ყირიმის მიმართ ასეთი აგრესიულები რად ხართ? — ჩურკინის ხმაში აშკარა გაღიზიანება ისმოდა. უკრაინის პრემიერი იაცენიუკი, რომელიც მანამდე ინგლისურად ლაპარაკობდა, ანაზდად ჩურკინისაკენ შებრუნდა და რუსულად ჰკითხა:

— უნდათ თუ არა რუსებს ომი?

— არავითარ შემთხვევაში, — მიუგო ჩურკინმა.

მიუხედავად ამისა, კრემლი უკან დახევას არ აპირებს. დასავლეთიც მოსკოვის აშკარა აგრესიას არ შეეგუება. პრეზიდენტმა ობამამ ვაშინგტონში ჩასულ იაცენიუკს ეს პირდაპირ განუცხადა. „ყირიმის რეფერენდუმს“ არც ერთი ცივილიზებული სახელმწიფო არ ცნობს. როგორც ვაშინგტონში, ასევე ევროპაში სულ უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ, რომ მარტოოდენ სანქციები საკმარისი არაა და რუსეთის შესაჩერებლად უფრო რადიკალური ზომებია აუცილებელი.

— ჩემი აზრით, არც აშშ, არც ევროპა რუსეთთან ომში არ ჩაერთვება, თუმცა უკრაინას სათანადო პოლიტიკურ, ფინანსურ დახმარებას აღმოუჩენენ. ამ შემთხვევაში უკრაინელებს საკუთარი ქვეყნის დაცვა თავად შეეძლებათ, — თვლის ანალიტიკოსი ელის კრაკოვსკი.

უკრაინასთან მიმართებით აშშ სულ უფრო აქტიურად მოქმედებს. ამისი დადასტურებაა ცნობილი უკრაინელი ოლიგარქის ფირტაშის დაკავება ვენაში. ის შედიოდა 20 ყველაზე გავლენიანი უკრაინელი ბიზნესმენის რიცხვში. მისი ქონება ოფიციალურად 3 მილიარდ დოლარს აღწევს. თავისი სიმდიდრე მან გაზის ბიზნესში მონაწილეობის წყალობით დააგროვა. მისი კომპანია „როსუკრენერგო“ „გაზპრომსა“ და უკრაინას შორის უმთავრესი შუამავალი გახდა. კორუფციული სქემა, რომელიც ამ დროს გამოიყენებოდა, რუსული გაზისადმი უკრაინის დამოკიდებულებას ზრდიდა. პარალელურად ფირტაში პოლიტიკაშიც აქტიურად იყო ჩაბმული:

— ფირტაშს ვერც მოსკოვის, ვერც ვაშინგტონის აგენტს ვერ ვუწოდებთ. ის მხოლოდ პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობდა და საკუთარ თავზე მუშაობდა, — წერს ჟურნალისტი მუსტაფა ნეიმი.

მართლაც, ოლიგარქს მჭიდრო კავშირები ჰქონდა როგორც უკრაინელ პატრიოტებთან, ასევე სეპარატისტებთანაც. უკანასკნელ ხანს გამოიკვეთა მისი ალიანსი პრორუსულად განწყობილ ყირიმელ სეპარატისტებთან. „როგორც ჩანს, ფირტაშმა ჩათვალა, რომ ეს მისთვის ხელსაყრელია“, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

უკრაინელი ჟურნალისტების ცნობით, ოლიგარქი ყირიმის თვითმარქვია პრემიერ აქსიონოვს რამდენჯერმე საიდუმლო ვითარებაში შეხვდა. რაზე ილაპარაკეს, უცნობია. ფაქტია მხოლოდ ის, რომ ამ საუბრების შემდეგ ოლიგარქმა აქსიონოვს დიდძალი თანხა გადაურიცხა.

— ფირტაშის დაკავება კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ აშშ უკრაინულ მოვლენებში აქტიურად ჩაერთო და ოლიგარქების თავნებობასთან შერიგებას არ აპირებს, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

მიუხედავად ამისა, ვაშინგტონი უპირატესობას მაინც დიპლომატიურ ხერხებს ანიჭებს. ამ მიზნით 14 მარტს ლონდონში ჯონ ქერი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვს შეხვდება.

— ესაა უკანასკნელი შანსი, რათა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი მშვიდობიანად განიმუხტოს, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

რა შედეგს გამოიღებს ვაშინგტონის ძალისხმევა?

**ნიკა თევზაძე**

---

# ჯონ კერი ნიკოლას მადუროს ქვეყანაში ტერორის კამპანიის“ შეწყვეტისკენ მოუწოდებს



ვენესუელის სახელმწიფო პროკურორმა განაცხადა, რომ ერთი თვის წინ ქვეყანაში დაწყებულ საპროტესტო გამოსვლებს 28 ადამიანი ემსხვერპლა.

სახელმწიფო პროკურორი ლუის ორტეგა დიაზი გუშინ გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოში გამოვიდა, სადაც ასევე განაცხადა, რომ საპროტესტო გამოსვლების დროს 1293 პირი დააკავეს, აქედან 104 დემონსტრანტი ანტისამთავრობო გამოსვლების დროს სერიოზული დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული.

ქუჩაში გამოსული დემონსტრანტები ქვეყანაში პოლიტიკურ ცვლილებებს ითხოვენ, ასევე აპროტესტებენ მაღალ ინფლაციასა და კრიმინალის ზრდას.

„როიტერის“ ცნობით, ხუთშაბათს ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჯონ კერიმ ნიკოლას მადუროს მოუწოდა, შეწყდეს ქვეყანაში „ტერორის კამპანია“.

ვენესუელის პრეზიდენტი ნიკოლას მადურო კი ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს მის წინააღმდეგ „შეთქმულებას“ უწოდებს, სადაც ამერიკის, ვენესუელისა და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების გარკვეული ჯგუფები მონაწილეობენ. ამერიკელი დიპლომატების გაძევების შემდეგ მადურომ ცოტა ხნის წინ ვენესუელიდან პანამის ელჩი და კიდევ სამი დიპლომატი გააძევა.

შეგახსენებთ, რომ ვენესუელის პრეზიდენტი თავის ყოფილ უკრაინელ კოლეგა ვიქტორ იანუკოვიჩსაც სოლიდარობას უცხადებს. მადურო ამბობს, რომ იანუკოვიჩი სახელმწიფო გადატრიალების მსხვერპლი გახდა, რომლის ორგანიზატორიც, მისი თქმით, შეერთებული შტატებია.

„კიევის ახალი „ფაქტობრივი ხელისუფლება“ საფრთხეს უქმნის უკრაინის ერთიანობას, რეგიონში სტაბილურობასა და რუსეთის სუვერენიტეტს“, — ნათქვამია მადუროს ადმინისტრაციის განცხადებაში.

ვენესუელის პრეზიდენტის თქმითვე, ის არ აღიარებს „ექსტრემისტების მიერ ხელისუფლების უზურპაციას უკრაინაში“.

როგორც მადურო ამბობს, უკრაინაში მთავრობის დამხობის სტრატეგია აშშ-მ და ნატო-ს მოკავშირეებმა შეიმუშავეს.

**გ. ქ.**

---

## კროსვორდი

**შვეულად:** 1. მოცარული დარტყმა ბილიარდში; 2. ბულგარეთის პირველი დედაქალაქი; 4. გამჭვირვალე, მქრქალი ფაიფური; 5. ძველი გერმანული იმპერია; 6. ფუტკრის სკის შავი ფერის ცვილი; 7. კლიმატური კურორტი თბილისის მახლობლად; 10. ქიმიური ელემენტი, უფერო, უსუნო აირი; 12. ვირტუოზი ქართველი ფეხბურთელი; 13. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი; 16. ზღვრული ნორმა; 17. მძლავრი ინტენსიური გამოსხივების კოსმოსური სხეული; 18. რძის პროდუქტი; 19. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 21. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში.

**თარაზულად:** 3. ისტორიული მოედანი ლონდონში; 8. სქელი, ტყავისებრფოთლებიანი ოთახის მარადმწვანე დეკორატიული მცენარე; 9. ცოდვების მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 11. ქართული იუმორისტული ჟურნალი; 12. ლუდის წარმოების ერთ-ერთი ცენტრი ჩეხეთში; 14. „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად მთარგმნელი და გამომცემელი; 15. ნაზბეწვიანი ცხვრის ჯიში; 20. გველის მსგავსი ქვეწარმავალი; 22. სოფელი საჩხერის რაიონში; 23. ფრანგი მხატვარი, იმპრესიონიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი; 24. სხეულის რომელიმე ნაწილის გახვრეტა სამკაულის დასამაგრებლად; 25. სუბტროპიკული ხილი; 26. ხელოვნურად გაშენებული ტყე; 27. ტაილანდის ძველი სახელწოდება.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა



### წინა ნომერში დაბეჭდილი კროსვორდის პასუხები

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. წუმწუმა; 2. ეკერი; 3. გალენიტი; 4. რიგელი; 5. თაღლითი; 6. დარნიცა; 11. პირლო; 13. ტრუიზმი; 14. პოლიფონია; 15. მარინისტი; 17. ლიმიტი; 18. ტოლედო; 19. გეტა.

**თარაზულად:** 7. სულიკო; 8. კალიგრაფია; 9. აწყური; 10. წერეთელი; 12. კასტანიეტა; 14. პრიზმა; 16. კლაუზულა; 18. ტალავარი; 20. ელაფი; 21. ონი; 22. დიამბეგი; 23. პესო; 24. იაკიტორია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ზაქსი; 2. არწივი; 4. კოფეინი; 5. შოპენი; 6. ყაბალახი; 7. აისბერგი; 10. გრემი; 12. ბახმარო; 13. ჟურნალი; 16. ბატუტი; 17. სალიამი; 18. ყამირი; 19. სეტერი; 21. გროგი.

**თარაზულად:** 3. მანიკური; 8. ფაზისი; 9. ფსიქოპატი; 11. ანდები; 12. ბორანო; 14. ხახამი; 15. გრუნდიგი; 20. რეგატა; 22. ბავარია; 23. ლელო; 24. ჩოგბურთი; 25. იედო; 26. ჰამამი; 27. აიაჩო.

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


ნ
marti

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,7367

ევრო — 2,4069

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,8805

100 რუსული რუბლი — 4,7585

## ამინდის პროგნოზი 15 მარტისთვის




# 18 მარტიდან

## დიდი საოჯახო ენციკლოპედია ახალ თაობასთან“ ერთად



## ვლადიმერ გუცაევი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას აპირებს



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოქმედ პრეზიდენტს ვადა 2015 წლის იანვარში ეწურება. ვადის ამოწურვის შემდეგ კი არჩევნების თარიღი დაითქმება. მანამდე კი ერთი კაბდიდატია ცნობილი – ვეტერანი ფეხბურთელი, ვლადიმერ გუცაევი.

როგორც თავად გუცაევმა განაცხადა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა სურს და მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას აპირებს.

გუცაევის თქმით, ფეხბურთის ფედერაციას დღეს ინერტული ხალხი არ სჭირდება და მას გამოცდილება აძლევს იმის უფლებას, რომ ამ პოსტზე საკუთარი კანდიდატურა წარადგინოს.

ვლადიმერ გუცაევი:

– დღეს ქართულ ფეხბურთს აუცილებლად სჭირდება ისეთი ადამიანი, ლიდერი, რომელსაც უტირია მოგებაზეც და წაგებაზეც. ასეთი ხალხი გვჭირდება ფედერაციაში და არა ინერტული ადამიანები. ყველაფერი მაძლევს უფლებას, ჩემი კანდიდატურა დავაყენო, წინა და ახლანდელი საფეხბურთო ცხოვრება. ბოლოს რუსეთის გუნდში ვიყავი სპორტულ დირექტორად, ახლა საარჩევნო პროგრამაზე ვმუშაობ.

არადა, საარჩევნო პროგრამაზე მუშაობა გუცაევს დიდი ხნის წინ უნდა ჰქონდეს დაწყებულ-დამთავრებული და ახლა უმნიშვნელო კორექტირების შეტანა დასჭირდებოდა. ის ხომ ადრეც ყოფილა საპრეზიდენტო კანდიდატი, თუმცა მისთვის საქმე არჩევნებამდე აღარ მისულა, ბრძოლას შუა გზაზე ეთიშებოდა ხოლმე.

მ. ჟ.

## ფეისბუქის“ შემქმნელი პრეზიდენტ ობამასთან ჩივის



სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ შემქმნელმა მარკ ცუკერბერგმა პრეზიდენტ ობამას დაურეკა, რათა ამერიკის მთავრობის თვალთვალის პროგრამებისადმი უკმაყოფილება გამოეხატა. ცუკერბერგის განმარტებით, ისინი ინტერნეტის მომავალს აზიანებენ.

როგორც მარკ ცუკერბერგმა საკუთარ გვერდზე განმარტა, მან ობამასთან დარეკა იმისათვის, რომ შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით საკუთარი აღშფოთება გამოეხატა.

როგორც ცნობილი გახდა, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ „ფეისბუქზე“ ფიქტიური გვერდი შექმნა, რათა სოციალური ქსელიდან ინფორმაციები მიიღოს. თეთრმა სახლმა ობამასა და ცუკერბერგის საუბრის შესახებ ინფორმაცია დაადასტურა.

მარკ ცუკერბერგის წილი მის მიერ დაფუძნებულ სოციალურ ქსელში 29.3%-დან 19.6%-მდე შემცირდა. სოციალური ქსელის აქციების რიცხვი, რომელსაც ცუკერბერგი ფლობს, 632,65 მლნ-დან 478.9 მილიონამდე შემცირდა.

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტ ობამას შეხვედრა „ფეისბუქის“ მომხმარებლებთან კალიფორნიის შტატში, კომპანიის შტაბბინაში გაიმართა. პრეზიდენტს მასპინძლობას ორგანიზაციის ხელმძღვანელი მარკ ცუკერბერგი უწევდა.

სტუდიაში პირველი ცუკერბერგი შევიდა. მარკი შესამჩნევად ნერვიულობდა. ობამა, მისგან განსხვავებით, საკმაოდ მშვიდი ჩანდა. პრეზიდენტმა დარბაზში გამოჩენისთანავე ორაზროვანი ხუმრობა დაიწყო. „დაცინვის“ ობიექტი თავად ცუკერბერგიც გახდა.

„მოგესალმებით, მე ბარაკ ობამა ვარ და მე ვარ ის ადამიანი, რომელმაც ცუკერბერგი აიძულა, ჰალსტუხი გაეკეთებინა და პიჯაკი ჩაეცვა“, – ამ სიტყვებით მიესალმა ობამა პუბლიკას (ცუკერბერგი ჩაცმის სპორტული სტილის მიმდევარია).

საპასუხოდ ობამამ სოციალური ქსელის შემქმნელისგან მუქი ფერის სპორტული მაისური მიიღო საჩუქრად წარწერით – „ფეისბუქი“.

„ეს ჩვენი მოკრძალებული სამადლობელია. ეს იმ შემთხვევაში, თუკი მოგინდებათ ჩემნაირად ჩაცმა“, – განაცხადა მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერმა.

„ეს მაღალი მოდის ნიმუშია. ძალიან ლამაზია, მადლობა!“ – უპასუხა ობამამ.

საგადასახადო სისტემაზე საუბრისას ობამა ცუკერბერგს გაეხუმრა და ორაზროვნად მიანიშნა, რომ ახალგაზრდა მილიარდერი პატიოსანი და „გულუხვი“ გადამხდელი არ არის.

„თუკი ყველანი, განსაკუთრებით კი ზოგიერთი ჩვენგანი, უფრო მეტ გადასახადს გადაიხდის“... – თქვა ობამამ, პაუზა შეინარჩუნა და ცუკერბერგისკენ გაიხედა ... „მე ვიხდი“ – სასწრაფოდ იმართლა თავი ცუკერბერგმა. ინციდენტი ტაშით დასრულდა.

გ. მ.

## სირიის მეგობრებს“ იარაღით დახმარებას სთხოვენ



სირიის ოპოზიციური კოალიციის ლიდერმა აჰმედ ჯაბრამ „სირიის მეგობრებს“ დანაპირების შესრულება და სირიის თავისუფალი არმიის მებრძოლებისათვის იარაღით დახმარება სთხოვა.

„ბი-ბი-სისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ჯაბრამ განაცხადა, რომ დასავლეთის ქვეყნები და საუდის არაბეთი ამბოხებულებს იარაღის მიწოდებას დაჰპირდნენ, თუ სირიის ხელისუფლება ჟენევის სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩაშლაში იქნებოდა დამნაშავე.

ჯაბრას აზრით, „ჟენევა-2“-ის ჩაშლაში დამნაშავე სწორედ სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი და მისი მთავრობაა.

გაეროს ლტოლვილთა სააგენტოს ხელმძღვანელის ანტონიო გუტერესის განცხადებით, სააგენტო, ცხადია, მზად უნდა იყოს უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით, თუმცა, მისი თქმით, ამ დროისათვის უდიდეს პრობლემას სირია წარმოადგენს. როგორც გუტერესი აღნიშნავს, თუ საერთაშორისო საზოგადოება სირიიდან ყურადღებას გადაიტანს, ეს „ტოტალური კატასტროფა“ იქნება.

„იმედი მაქვს, რომ ისინი, ვისაც ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება მსოფლიო საქმეებში, გაიგებენ, რომ სირიის დავიწყება ტოტალური კატასტროფის ტოლფასია“, – აღნიშნა გუტერესმა.

შეგახსენებთ, რომ სირიაში კონფლიქტი 2011 წლის მარტში დაიწყო, რომელსაც, „როიტერის“ ინფორმაციით, 140 000 ადამიანი ემსხვერპლა.

გ. მ.



## hჰჯცეჯჰლბ ფ

**შვეულად:** 1. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 2. მონასტერი ხარაგაულის რაიონში; 3. ვენესუელის დედაქალაქი; 4. ყველაზე დიდი ტბა მექსიკაში; 5. თანამედროვე ქართველი პოეტი მამაკაცი; 6. ღამის პეპელა; 11. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 13. ძალიან ლამაზი ბაღი; 14. მარადმწვანე ხე, ისხამს ზეთით მდიდარ კურკოვან ნაყოფს; 15. უნგრეთის დედაქალაქი; 17. იპოდრომი ლონდონის მახლობლად, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დოღი; 18. სიბრტყეზე ჰორიზონტალური მდგომარეობის დასადგენი სადურგლო ხელსაწყო; 19. აზიასა და აფრიკაში გავრცელებული შინაური კუზიანი ხარი.

**თარაზულად:** 7. დაბადების დღის აღნიშვნა; 8. კუბელი დიპლომატი, ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში; 9. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 10. ირანის შაჰის კარზე მოღვაწე მე-17 საუკუნის ქართველი მხატვარი; 12. თებერვლის თვის ქართული სახელწოდება; 14. მორალი ანუ...; 16. სახელმწიფო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში; 18. მწვერვალი კავკასიონზე; 20. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 21. ჯარის ძველებური სახელწოდება; 22. ლიტერატურული პერსონაჟის დახასიათება, აღწერა; 23. პოპულარული ბალნეოლოგიური კურორტი საფრანგეთში; 24. მდინარე გურიაში.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

·ღტჯფვ უფზსღფჯზცოზყცს=




### 15 მარტი _ სიახლის დღეა

**ვერძი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **კურო** – ნურავის ენდობით, თქვენთვის იყავით. **ტყუპები** – უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **კირჩხიბი** – ცხოვრება გეცვლებათ და ეს თქვენთვის ძალიან კარგია. **ლომი** – გახარებული ხართ, საწადელს ადვილად მიაღწევთ. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – სახლში დიდი სიხარული გელით, ბედი გწყალობთ. **ღრიანკალი** – პატარა პრობლემას ადვილად მოაგვარებთ, საქმე კარგად წაგივათ. **მშვილდოსანი** – ჩაფიქრებული ხართ, გამხიარულდით. **თხის რქა** – რჩევას გეკითხებიან, მაგრამ მაინც თავისებურად მოქმედებენ. **მერწყული** – საქმე ბევრია, ამიტომ დრო გაანაწილეთ. **თევზები** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ.

### 16 მარტი _ შემოქმედებითი დღეა

**ვერძი** – თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კურო** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ტყუპები** – ყურადღების ცენტრში ხართ, ამის გამო პრობლემები გაქვთ. **კირჩხიბი** – შეხვედრა დიდ შედეგს მოიტანს, გახარებული ხართ. **ლომი** – ფული გაქვთ, მაგრამ ბევრი მუშაობა გელით. **ქალწული** – წარმატება მოვა, მთავარია, არ შეშინდეთ. **სასწორი** – დაისვენეთ მყუდრო გარემოში, არ გადაიღალოთ. **ღრიანკალი** – თქვენი საქმე წინ მიდის, მთავარია, არ მოდუნდეთ. **მშვილდოსანი** – დაისვენეთ, მაგრამ ზედმეტი არ მოგივიდეთ. **თხის რქა** – თქვენთვის მნიშვნელოვანი შედეგია, ამიტომაც შრომობთ ბევრს. **მერწყული** – არ აყვეთ პროვოკაციას, ასე აჯობებს. **თევზები** – საკუთარ ნიჭს დღეს გამოავლენთ, გილოცავთ!

უზცეჰღტ,ს ,ტცყზტჰ ღქტს=